

# ADR YEARBOOK



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

## დავის ალტერნატიული გადაწყვეტა

წელიწდეული 2023

მთავარი რედაქტორი პროფ. ირაკლი ბურდული

Editor-in-Chief Prof. Dr. Irakli Burduli

**წ ე ლ ი ნ ი ლ ე ჯ ლ ი**

**2023**

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
NATIONAL CENTER FOR ALTERNATIVE DISPUTE RESOLUTION

# **Alternative Dispute Resolution**

**Yearbook**

**2023**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი

## დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი

წელიწადი

2023



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

**მთავარი რედაქტორი**

ირაკლი ბურდული (პროფ., ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

**Editor-in-Chief**

Irakli Burduli (Prof., Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

**მმართველი რედაქტორი**

ნათია ჩიტაშვილი (ასოც. პროფ., ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

**Managing Editor**

Natia Chitashvili (Assoc. Prof., Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

**სარედაქციო კოლეგია:**

ქეთრინ გ. ბარნეთი (პროფ., ჰიუსტონის სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა, აშშ)

ჯეიმს ჯ. ალფინი (პროფ., ემერიტუს დეკანი, ჰიუსტონის სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა, აშშ)

ელიზაბეთ ა. დენისი (პროფ., ჰიუსტონის სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა, აშშ)

ირაკლი ყანდაშვილი (პროფ., გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი)

აკაკი განურელია (პროფ. ასისტენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ირაკლი ადეიშვილი (სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

დემეტრე ეგნატაშვილი (პროფ. ასისტენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

**Editorial Board:**

Catherine G. Burnett (Prof., South Texas College of Law Houston, USA)

James J. Alfini (Prof., Dean Emeritus, South Texas College of Law Houston, USA)

Elizabeth A. Dennis (Prof., South Texas College of Law Houston, USA)

Irakli Kandashvili (Prof., Grigol Robakidze University, Chairman of Mediators Association of Georgia)

Akaki Gatserelia (Prof. Assistant, Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

Irakli Adeishvili (Doctor of Law, Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

Demetre Egnatashvili (Prof. Assistant, Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

**ტექნიკური რედაქტორი:**

ირაკლი ლეონიძე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

**Technical Editor:**

Irakli Leonidze (Iv. Javakhishvili Tbilisi State University)



გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით  
Published by the decision of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing Board

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### მიხეილ ბიჭია

მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა და ეთიკური დილემები.....7

### Mikheil Bichia

Confidentiality of the Mediation Process and Ethical Dilemmas ..... 41

### ნინო ხარიტონაშვილი

სასამართლო მედიაცია როგორც მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის  
საშუალება და კერძო მედიაციის განვითარების წინაპირობა ..... 68

### Nino Kharitonashvili

Court mediation as a Means of Access to Justice and a Prerequisite for the Development  
of Private Mediation ..... 82

### მათე ხვედელიძე

უცხოელი ინვესტორის კონკრეტული სახელმწიფოსადმი კუთვნილების განსაზღვრის  
კრიტერიუმები საინვესტიციო საარბიტრაჟო დავისას..... 92

### Mate Khvedelidze

Criteria for Determining the Affiliation of a Foreign Investor to a Particular State  
in an Investment Arbitration Dispute ..... 101

### ანა ხურციძე

ქალთა ჩართულობა მედიაციასა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში -  
ინსტრუმენტი თანასწორობისთვის ..... 108

### Ann Khurtsidze

Women's Engagement in Mediation and Peacebuilding Process – An Instrument for Equality.....119



## მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა და ეთიკური დილემები

სამეცნიერო კვლევა ეძღვნება მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის დაცვის სამართლებრივ საფუძვლებსა და ეთიკურ დილემებს. ნაშრომში განხილულია მედიაციის კონფიდენციალურობის უარყოფითი და დადებითი მხარეები, კონფიდენციალურობის დაცვის მნიშვნელობა.

ამასთან, კვლევის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, დადგინდეს მედიაციის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით ეროვნული მოდელის სპეციფიკა, შემდეგ კი განისაზღვროს მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის შესახებ საერთაშორისო აქტების მიდგომები, სხვადასხვა ქვეყნის (გერმანია, ავსტრია და სხვ.) საკანონმდებლო მონესრიგება. კვლევა აგებულია კონცეფტუალურად, რომ კონფიდენციალურობა მედიაციის განუყოფელი ნაწილი და უმთავრესი პრინციპია, რომელიც გარკვეულ დადებით ასპექტებს (მხარეთა გულწრფელობა, შეთანხმების სამართლიანობა, მედიატორის ნეიტრალურობა, მედიაციის ეფექტიანობა და სხვა) ასტიმულირებს. შესაბამისად, ნაშრომში გამოკვეთილია, რომ ამ ფაქტორებს შორის ლოგიკური ჯაჭვი არსებობს. მედიაციაში კონფიდენციალურობა აკავშირებს ამ გარემოებებს ერთმანეთს და ცენტრალურ როლს თამაშობს.

ამავე დროს, კონფიდენციალურობის დაცვა ზრდის საჯარო ინტერესის შელახვის საფრთხეს. თუმცა, კონფიდენციალურობის დაცვის პარალელურად, საჯარო ინტერესის უზრუნველყოფით არ უნდა დაირღვეს კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპები. მედიატორის საქმიანობაც მუდმივად ეთიკური დილემების გადაწყვეტას მოითხოვს, რაც თითოეული შემთხვევის საფუძვლიან შესწავლასა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებას გულისხმობს. შესაბამისად, ყოველი შემთხვევაც უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად და დადგინდეს, რამდენად შეიძლება სხვა ღირებულება პრევალირებდეს კონფიდენციალურობის დაცვის ინტერესს მედიაციაში.

აქვე სტატია ეხება კონფიდენციალურობის შეზღუდვის კანონისმიერ საფუძვლებს, რომელთა არსებობისას შეიძლება კონფიდენციალურობის ხელყოფა ლეგიტიმურად ჩაითვალოს. კონფიდენციალურობის დარღვევისა და შეზღუდვის ლეგიტიმაციის დადგენა მნიშვნელოვანია მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილებისთვის. ამ საკითხის სწორად შესაფასებლად არსებითია, მარტივად, გასაგებად და ნათლად იყოს ასახული კონფიდენციალურობის შეზღუდვის საფუძვლები. ეს კიდევ უფრო აქტუალურია ქართული მოდელისთვის, რომელიც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, კონფიდენციალურობის შეზღუდვების საკმაოდ ფართო წრეს, მეორე მხრივ, მოითხოვს პროპორციულობის დაცვას. ამ რეალობაში მედიატორი უნდა ცდილობდეს, საქმიანობისას ოქროს შუალედი გამოიხატოს, რათა ერთი ღირებულების დაცვამ არ განაპირობოს მეორე ღირებულების დაუსაბუთებელი ხელყოფა.

**საკვანძო სიტყვები:** მედიაცია, კონფიდენციალურობა, ნეიტრალურობა, სამართლიანობა, ეთიკური დილემები, შეზღუდვის საფუძვლები

### 1. შესავალი

მედიაცია დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომელიც სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება. მათ შორის აღსანიშნავია, რომ მედიაცია კონფიდენციალურ პროცესს მოიაზრებს, თუმცა კონფიდენციალურობის ცნება იმდენად ზოგადი ჩანს, რომ შეიძლება მისმა არაზუსტმა თუ ხელოვნურად გაფართოებულმა ინტერპრეტაციამ გამოიწვიოს

\* სამართლის დოქტორი, თსუ-ის მონვეული ლექტორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, ადვოკატი, მედიატორი.



საკითხის არასწორი გადანყვეტა და, შესაბამისად, კონფიდენციალობის დაცვის ინტერესის ხელყოფა. ამიტომ კვლევის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, დადგინდეს კონფიდენციალურობის შინაარსი და სამართლებრივი ბუნება მედიაციაში, შემდეგ კი განისაზღვროს კონფიდენციალურობის დაცვის სპეციფიკური მახასიათებლები. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს იმის გარკვევას, თუ რომელ სფეროებსა და რა სახის ინფორმაციაზე შეიძლება გავრცელდეს მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპი.

გარდა ამისა, კონფიდენციალურობა გადაიკვეთება ხოლმე ინფორმირების ვალდებულების დაცვასთან, დანაშაულის თავიდან აცილებისა და სხვა საჯარო თუ ზოგიერთ შემთხვევაში კერძო ინტერესთან, რაც წარმოშობს ეთიკურ დილემას, თუ რომელი ღირებულება უნდა იყოს დაცული - კონფიდენციალურობა თუ მისი სანინალმდეგო ეთიკური ღირებულება. განსაკუთრებით საყურადღებოა მედიატორისა და სხვა პროფესიის წარმომადგენელთა პროფესიული ეთიკის წესთა კონფლიქტი. შესაბამისად, შესასწავლია კონფიდენციალურობისა და მისი სანინალმდეგო (საჯარო) ინტერესის დაცვის ღირებულებითი კონფლიქტი. ამ გზით გასარკვევია, რამდენად ლეგიტიმურია კონფიდენციალურობის ხელყოფა სხვა ინტერესის დაცვის ხარჯზე. პრობლემა საინტერესოა მედიაციის პროცესის პრინციპებს შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრის კონტექსტში. ამ ფარგლებში დასადგენია, თუ რა მნიშვნელობა აქვს კონფიდენციალურობის დაცვას მედიაციისთვის, კონფიდენციალურობის შეზღუდვის რომელი შემთხვევა შეიძლება ლეგიტიმურად ჩაითვალოს. ეს საკითხი აქტუალურია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების თვალსაზრისით და პირდაპირპროპორციულად განსაზღვრავს პასუხისმგებლობის დაკისრებას ან გამორიცხვას. ამის გარკვევას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული დატვირთვა აქვს.

საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მედიაციის შესახებ პრაქტიკა ჯერჯერობით არაა მდიდარი საქართველოში და ახლა იკიდებს ფეხს საზოგადოებაში. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია პირველი ნაბიჯების გადადგმისას სკურპულოზურად იყოს დაცული კონფიდენციალურობა მედიაციაში.

კვლევა დაეფუძნა ნორმატიულ და დოგმატურ მეთოდებს, რადგან არსებითია, ერთი მხრივ, საქართველოში მედიაციის კონფიდენციალურობის მომწესრიგებელი ნორმების შინაარსის დადგენა, მეორე მხრივ, მათ შესახებ არსებული დოგმატური მიდგომების განსაზღვრა. ასევე, ნაშრომში გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, რათა საკვლევი თემის სხვადასხვა ასპექტი სიღრმისეულად იყოს განხილული და მათი შეჯერებით შესაბამისი დასკვნები ჩამოყალიბდეს. ამავე დროს, შედარებითი მეთოდის დახმარებით შესწავლილ იქნა საკითხი არა მხოლოდ ეროვნულ დონეზე, არამედ სხვადასხვა ქვეყნისა და საერთაშორისო აქტების მიდგომების გათვალისწინებით. ეს მნიშვნელოვანია პრობლემის სიღრმეების გამოკვლევისა და გადანყვეტის უკეთესი გზის მოძიების ან პრაქტიკის დახვეწის მიზნით.

## 2. მედიაციის კონფიდენციალურობის ცნება და დაცული სფეროები

### 2.1. მედიაციის ზოგადი მიმოხილვა

**მედიაცია არის მხარეთა შორის არსებული უთანხმოების გადანყვეტის კონსენსუალური საშუალება, რომელიც მიიღწევა მოლაპარაკებებისა და მედიატორის, როგორც ნეიტრალური მესამე პირის, დახმარებით.<sup>1</sup> მედიაცია არის პროცესი, რომლის დროსაც მედიატორი ხელს**

<sup>1</sup> Otis L., Rousseau-Saine C., The Mediator and ethical Dilemmas: A proposed Framework for Reflection, Journal of Arbitration and Mediation, Vol. 4, No. 2, 2014, 46.

უნყოფს მხარეთა შორის კომუნიკაციასა და მოლაპარაკებებს, რათა დაეხმაროს დავის მოგვარებასა და ნებაყოფლობითი შეთანხმების მიღწევაში.<sup>2</sup>

**მედიაციის მიზანია ეფექტური კომუნიკაცია მონააღმდეგე მხარესთან.** თავად მედიატორის როლია, ხელი შეუწყოს პირდაპირ კომუნიკაციებს. თუმცა მედიატორი უნდა ჩაითვალოს არა სანდო მრჩევლად, არამედ **ნეიტრალურ პირად**. იდეალურ შემთხვევაში, მხარეები ენდობიან მედიატორს მისი ნეიტრალური როლის გამო, მაგრამ ისინი არ უნდა მოელოდნენ მედიატორისგან, რომ ის იმოქმედებს მთლიანად რომელიმე მათგანის ინტერესებიდან გამომდინარე.<sup>3</sup> ფაქტობრივად მედიაცია ეფუძნება დავის მხარეთა ნებაყოფლობით და კონფიდენციალურ შეხვედრებს მედიატორის წინაშე, რომლის **მიზანია ყველა მხარისთვის მისაღები შეთანხმების მიღწევა**.<sup>4</sup>

თუ მედიაციას შევადარებთ სასამართლო განხილვას, ცხადი ხდება, რომ მედიატორი ეძებს მხარეთა შეთანხმების მიღწევის გზას, სასამართლოს კი გამოაქვს ვერდიქტი. მედიატორის ინსტრუმენტი მხარეთა რეალური პოზიციებისა და ინტერესების გამოვლენაა, სასამართლო კი ეძებს ფაქტებს. მედიაცია ავითარებს კონფიდენციალურობის პრინციპს, სასამართლოში საქმის განხილვა კი მოითხოვს ყველა მტკიცებულების საჯარო გამჟღავნებას.<sup>5</sup>

მედიაციის გამოყენების ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ **გამოცდილმა ნეიტრალურმა პირმა (მედიატორმა) გააუმჯობესოს ინფორმაციის გაცვლისა და რაოდენობის ხარისხი** დავის დარეგულირებისთვის. ეს ინფორმაცია, თავის მხრივ, შეიძლება ზრდიდეს შანსებს იმაზე, რომ მხარეებმა დავის მათთვის სასურველი გადაწყვეტის გზა შეარჩიონ. მედიაციის მხარეებმა შეიძლება გაამჟღავნონ ინფორმაცია, გამოცდილი მედიატორი კი იყენებს ამ კონფიდენციალურ ინფორმაციას მოლაპარაკებების წინსვლისთვის, თუნდაც ეს ინფორმაცია არ მიაწოდოს მონააღმდეგე მხარეს. **კონფიდენციალურობა არის ამ სამმხრივი კომუნიკაციის პროცესის ნახალისების მთავარი ელემენტი**. ამ მიზნით მედიატორი მედიაციის პროცესში ხაზს უსვამს იმას, რომ ის არ გადასცემს კონფიდენციალურ გარემოში დახურული შეხვედრისას გაკეთებულ განცხადებებს.<sup>6</sup> **მედიაციის პროცესის წარმოებისთვის უმნიშვნელოვანესია ნდობისა და არაფორმალური გარემოს არსებობის შეგრძნება**. თუ მედიაციის დროს ეს ელემენტები არაა, მაშინ სისტემა ჩამოიშლება<sup>7</sup> და მიზანიც ვერ იქნება მიღწეული.

მართალია, მედიაცია არაა ფსიქოთერაპია, მაგრამ **მას შეიძლება ჰქონდეს როგორც თერაპიული, ისე კონტრთერაპიული ეფექტი**. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მედიაციაში მონაწილე მხარეებმა შეიძლება მოითხოვონ ისეთი არამატერიალური სარგებელი, როგორიცაა: ბოდიშის მოხდა, პატიება ან მეორე მხარისგან უბრალოდ უფრო მეტად გაგება. ამასთან, ზოგჯერ ღირებულა დავის წარმომშობი მიზეზების დადგენა ან გადაწყვეტის შესაძლებლობების გაფართოების გაძლიერებული შეგრძნება. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად ნებისმიერი მედიაციის მიზანია, წერილობით მიღწეულ იქნეს მორიგების შეთანხმება, როგორც კი მხარეები ჩაერთვებიან მედიაციის პროცესში, მედიატორმა შეიძლება არამატერიალური სარგებლის მიღების შესაძლებლობა უფრო მეტად დაინახოს.<sup>8</sup>

<sup>2</sup> *Widman M. S.*, The Protections and Limits of Confidentiality in Mediation, *Alternatives*, Vol. 24, No. 10, 2006, 167.

<sup>3</sup> *Deason E. E.*, The Quest for Uniformity in Mediation Confidentiality: Foolish Consistency or Crucial Predictability? *Marquette Law Review*, Vol. 85, 2001, 81.

<sup>4</sup> *Perkowski M.*, Implications of Arbitration and Mediation Implementation from the perspective of Bialystok, *Optimum Economic Studies*, No. 5 (83), 2016, 153; ბიჭია მ., მედიაციის გამოყენების მნიშვნელობა ბიზნესდავებში პანდემიის დროს, „სამართლის მაცნე“, N3, 2021, 12.

<sup>5</sup> *Freedman L. R., Prigoff M. L.*, Confidentiality in Mediation: The Need for Protection, *Journal of Dispute Resolution*, Vol. 2, Iss. 1, 1986, 45.

<sup>6</sup> *Deason E. E.*, Predictable Mediation Confidentiality in the U.S. Federal System, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Col. 17, No.2, 2002, 245.

<sup>7</sup> *Rosenberg P. J.*, Keeping the Lid on Confidentiality: Mediation Privilege and Conflict of Laws, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 10, Iss. 1, 1994, 181.

<sup>8</sup> *Hoffman A. D., Wolman N. R.*, The Psychology of Mediation, *Cardozo J. of Conflict Resolution*, Vol. 14, 2013, 805-806.

მედიატორი წარმართავს მხარეთა მოლაპარაკებებს სტრუქტურირებული პროცესის მეშვეობით, სადაც მხარეებს ეხმარება საკითხების იდენტიფიცირებასა და შესაძლო გადაწყვეტილებების ძიებაში.<sup>9</sup> ამასთან, მედიატორი მოუწოდებს თითოეულ მხარეს, გამოიკვილოს საკუთარი ინტერესები და საჭიროებები, ასევე, ცდილობს, წააქეზოს მხარეები თავიანთი პოზიციების შეფერებისკენ. მედიაციის პროცესის ძირითადი პრინციპები ისაა, რომ მხარეებმა ყველაზე კარგად იციან, როგორ მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ ცხოვრებაზე გავლენას მოახდენს. მედიაციის დროს განიხილება დავის გადაწყვეტის ვარიანტები და მედიატორს შეუძლია მხარეები იქამდე მიიყვანოს, რომ ორივე მხარე „გამარჯვებული“ იყოს.<sup>10</sup>

ფაქტობრივად მედიატორის საქმიანობის სტილი შეიძლება იყოს ფასილიტატორული (ხელშემწყობი) და შეფასებითი. ფასილიტატორული (ხელშემწყობი) მედიაციის დროს მედიატორი იღებს საკუთარ თავზე ე. წ. „მაიეგტიკურ“ როლს,<sup>11</sup> ვინაიდან ასრულებს ბებიქალის ფუნქციას იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებსაც უშუალოდ მხარეები გვთავაზობენ დავის გადაწყვეტის გზად. რაც შეეხება შეფასებით მედიაციას, ამ შემთხვევაში მედიატორი მზადაა, შესთავაზოს საკუთარი გადაწყვეტილებები და მოსაზრებები მხარეთა მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების ეფექტურობის ან გონივრულობის შესახებ, ან უკიდურეს შემთხვევაში, შესთავაზოს ის, რაც დავის გადაწყვეტის საუკეთესო გზად მიაჩნია მედიატორს. ფასილიტატორული (ხელშემწყობი) მედიატორები თავიანთ ღირებულებით იერარქიაში ყველაზე მაღლა აყენებენ მედიატორის ნეიტრალიტეტს.<sup>12</sup>

## 2.2. მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის შინაარსი

ტრადიციული თვალსაზრისით, მედიაცია განიხილება დავის გადაწყვეტის კონსენსუალურ და კონფიდენციალურ პროცესად.<sup>13</sup> შესაბამისად, მედიაციის უმთავრეს პრინციპად მიიჩნევა კონფიდენციალურობა,<sup>14</sup> რომელმაც შეიძლება შექმნას მედიატორისთვის ეთიკური დილემები.<sup>15</sup>

ტერმინი „მედიაციის კონფიდენციალურობა“ გამოიყენება ფართო გაგებით და შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ინფორმაციის დაცვას გამჟღავნებისგან. ამ შემთხვევაში კონფიდენციალურობის დამცავი ნორმები აერთიანებს წესებს, რომლებიც ვრცელდება ქვემოთ მოცემულიდან ერთ-ერთ ან რამდენიმე შემთხვევაზე. სახელდობრ, განსაზღვრულია, რომ:

(ა) სამედიაციო კომუნიკაციით მიღებული ინფორმაციის გამოყენება დაუშვებელია სასამართლოში საქმის განხილვისას;

(ბ) მედიაციის კომუნიკაციის იძულებით გამჟღავნება არ შეიძლება სასამართლო პროცესში;

(გ) სამედიაციო კომუნიკაციები უნდა იყოს კონფიდენციალური და არ უნდა იყოს გამჟღავნებული ვინმესთვის (ნამდვილი კონფიდენციალურობა);

(დ) მედიატორის მიერ ჩვენების მიცემა აკრძალულია მის მიერ წარმოებული მედიაციის პროცესის შესახებ;

<sup>9</sup> Irvine M., Serving Two Masters: The Obligation Under the Rules of Professional Conduct to Report Attorney Misconduct in a Confidential Mediation, RUTGERS Law Journal, Vol. 26, 1994, 158.

<sup>10</sup> Furlan F., Blumstein E., Hofstein N. D., Ethical Guidelines for Attorney Mediators: Are Attorneys Bound by Ethical Codes for Lawyers When Acting as Mediators? Vol. 14, 1997, 3.

<sup>11</sup> ესაა „ბებიქალის ხელოვნება“. ის ემყარება წარმოდგენას, რომლითაც მედიატორი პირდაპირ ვერ გადასცემს მნიშვნელოვან ცოდნას მხარეს, არამედ მას შეუძლია მხარეში დაფარული ამ ცოდნის გამოკვეთა შეკითხვების დასმის გზით. მედიატორმა ხელი უნდა შეუწყოს უკვე არსებული ჭეშმარიტებების დაბადებას, ის ახდენს ფასილიტაციას და მხარეთა ინტერესების იდენტიფიცირებას.

<sup>12</sup> Burns R.P., Some Ethical Issues Surrounding Mediation, Fordham Law Review, Vol. 70, Issue 3, 2001, 702.

<sup>13</sup> Nolan-Haley J., Mediation: The “New Arbitration”, Harvard Negotiation Law Review, Vol. 17, 2012, 73.

<sup>14</sup> ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 48.

<sup>15</sup> Noone M. A., Ojelabi A. L., Ethical Challenges for Mediators around the Globe: An Australian Perspective, Washington University Journal of Law & Policy, Vol. 45, 2014, 169.

(ე) მედიაციის მონაწილეებს შორის სახელშეკრულებო შეთანხმება ადგენს სამედიაციო კომუნიკაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის ფარგლებს.<sup>16</sup>

შესაბამისად, ეფექტური მედიაციის ფუნდამენტად განიხილება სამედიაციო კომუნიკაციის კონფიდენციალურობა, რომლის თანახმად, მედიატორმა უნდა დაიცვას კომუნიკაციები გამჟღავნებისგან. უპირველეს ყოვლისა, კონფიდენციალურობა ხელს უწყობს მხარეთა და მედიატორს შორის კომუნიკაციას. მისი დახმარებით მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მაშინაც კი, როცა ეს ჩვეულებრივი მოლაპარაკების შედეგად შეუძლებელი იქნებოდა. ანალოგიურია ადვოკატის, ექიმის, მღვდლის მიერ კონფიდენციალურობის დაცვა, რადგან ამ შემთხვევაშიც მოქმედებს გამჟღავნებისა და ცნობების გადაცემისგან (ჩვენების მიცემისგან) დაცვის პრივილეგია.<sup>17</sup>

შესაბამისად, კონფიდენციალურობის პრინციპით უნდა იყოს დაცული ინფორმაცია, რომელიც:

1. მედიაციის დროს იყო გაზიარებული ან შექმნილი, მაგალითად, მედიაციის მიზნებისთვის მედიატორის ჩანაწერები, ასევე, მომზადებული დოკუმენტები და ვიზუალური მასალა;

2. მედიატორს გადაეცა ინდივიდუალური შეხვედრებისას, ერთ-ერთ მხარესთან ტელეფონით საუბრისას ან ელექტრონული ფოსტით;

3. მედიაციის პროცესის მონაწილეთა ქცევებზე დაკვირვებას ეხება;

4. სამედიაციო შეთანხმების მიუღწევლობის მიზეზებს ასახავს.<sup>18</sup>

მედიაციის უნიფიცირებული აქტის მნიშვნელოვანი მიმართულებაა, კონფიდენციალურობის დაცვა შეესაბამებოდეს მხარეთა გონივრულ მოლოდინებს. მედიაციის უნიფიცირებულმა აქტმა გააფართოვა კონფიდენციალურობის დაცვა. კონფიდენციალობით დაცულია კომუნიკაცია, რომელიც მოიცავს მოქმედებებით, ზეპირი ფორმით, წერილობით ან სხვა გზით ჩანერგულ განცხადებებს. შესაბამისად, მედიაციის უნიფიცირებულმა აქტმა შექმნა კონფიდენციალურობის ფართო პრივილეგია, რომელიც ვრცელდება მონაწილეებსა და მედიატორებზე.<sup>19</sup>

ევროპული დირექტივა 2008/52/EC ეფუძნება კონფიდენციალურობის ფართო კონცეფციას და კონფიდენციალურად მიიჩნევს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც მედიაციის პროცესის დროს იყო გამჟღავნებული.<sup>20</sup>

მედიაციის დროს დავის გადაწყვეტის შესახებ დისკუსია მოლაპარაკებების ძირითადი ნაწილია, რომელიც მხარეებისგან მოითხოვს დავის გამომწვევი მიზეზების, დარეგულირების შესაძლო ვარიანტებისა და მოლოდინების ახსნას. ეს შეიძლება მოიაზრებდეს პირადი, სამსახურებრივი ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლას, რათა მხარეებს შორის მოლაპარაკებები წარმატებული იყოს.<sup>21</sup> შესაბამისად, არაა გამორიცხული, მედიაციის დროს წარმოდგენილი განცხადებები შეეხოს კერძო ხასიათის ან პერსონალურ მონაცემებს. ეს ბუნებრივია, თუ მედიაციის პროცესში მხარემ გააჟღერა პირადული ან მგრძობიარე საკითხები, პერსონალური მონაცემების დამუშავება კი მოითხოვს კანონით დადგენილი წესების მკაცრად დაცვას.<sup>22</sup>

<sup>16</sup> Relationship Between Mediation and Attorney Malpractice and Other Misconduct, 45 Cal. L. Revision Comm'n Reports 19, 2017, 53-54, <<http://clrc.ca.gov/pub/Printed-Reports/Pub240-K402.pdf>> [12.12.2022].

<sup>17</sup> Deason E. E., The Quest for Uniformity in Mediation Confidentiality: Foolish Consistency or Crucial Predictability? Marquette Law Review, Vol. 85, 2001, 80.

<sup>18</sup> Reichert K., Confidentiality in international Mediation, Dispute Resolution Journal, Vol. 59, No. 4, 2004, 62; Nadja M. A., International and Comparative Mediation: Legal Perspectives, "Kluwer Law International", 2009, 248.

<sup>19</sup> Johnson D. P. Jr., Confidentiality in Mediation: What Can Florida Glean from the Uniform Mediation Act? Florida State University Law Review, Vol. 30, No. 3, 2003, 492.

<sup>20</sup> ib. Article 7, directive 2008/52/EC of European Parliament and of the Council, 21 May 2008, <<https://www.legislation.gov.uk/eudr/2008/52/article/7>> [15.12.2022].

<sup>21</sup> Sharp D., The Many Faces of Mediation Confidentiality, in: Handbook on Mediation, 2d. ed. 2010, 225; Callahan R., Mediation Confidentiality: For California Litigants, Why Should Mediation Confidentiality be a Function of the Court in Which the Litigation is Pending? Vol. 12, Iss. 1, 2013, 65.

<sup>22</sup> ბიჭია მ., სამოქალაქო კოდექსის მე-18<sup>1</sup> მუხლის სტრუქტურული ანალიზი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N1, 2020, 52; ბიჭია მ., პერსონალური მონაცემების კერძოსამართლებრივი დაცვის პრობლემა

ამიტომ მედიაცია კერძო პროცესია. ის შესაძლებელს ხდის, კერძო სფეროში პოტენციურად მგრძობიარე საკითხებზე უფრო თავისუფლად შედგეს მსჯელობა. თუმცა, ცხადია, ეს მოქმედებს მანამ, ვიდრე კონფიდენციალურობის დაცვის პირობა უზრუნველყოფს დისკუსიის კერძო ხასიათს.<sup>23</sup>

მედიაციის კონფიდენციალურობა წარმოშობს მხარეთა შესაძლებლობებს, არ დაუშვას მედიაციის პროცესში კომუნიკაციისას მიღებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება სამართალწარმოებაში. ეს მნიშვნელოვანია როგორც სამართლებრივი, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. მხარეთა გულწრფელობა შეიძლება იყოს გადამწყვეტი წარმატებული მედიაციისთვის. როგორც ნეიტრალური მესამე მხარე, მედიატორი იყენებს მხარესთან პირისპირ კომუნიკაციის ინსტრუმენტს, რაც ამარტივებს დავის მოწესრიგებას. ხშირად მედიატორი გამოკვეთს პრობლემას და მისი გამომწვევ მიზეზებს იმ იმედით, რომ გამოიყენოს ეს ინფორმაცია დავის მოგვარების წასახალისებლად. მედიატორი დისკუსიის დროს მოუწოდებს მხარეებს, განიხილონ ის ფაქტები, რომლებსაც, როგორც წესი, სხვა შემთხვევაში ისინი არ დაეთანხმებოდნენ. კონფიდენციალურობა უმთავრესია მედიაციის პროცესისთვის; მის გარეშე მხარეებს არ მოუწოდებდათ პროცესში მონაწილეობა და გარკვეული აღიარებების დაშვება, რაც დავის დარეგულირების გადამწყვეტი წინაპირობაა. ამ ფორმით, კონფიდენციალურობის წყალობით მხარეები ეფექტურად და წარმატებით მონაწილეობენ მედიაციის პროცესში.<sup>24</sup>

მედიატორი შესავალი სიტყვის წარმოთქმის მომენტიდანვე განუმარტავს მხარეებს კონფიდენციალურობის მნიშვნელობას. მედიატორი აცნობს მხარეებს კონფიდენციალურობის დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს, უზრუნველყოფს მათ მიერ ამ ინფორმაციის გაგებას და უხსნის, რომ სწორედ მხარეებს შეუძლიათ საკუთარ საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება.<sup>25</sup> ამასთან, მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა სულაც არ მთავრდება, როდესაც მხარეები და სხვა მონაწილეები ტოვებენ მედიაციის ოთახს. თუ კანონი მოითხოვს სასამართლოსგან მორიგების შეთანხმების დამტკიცებას, კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით მედიაცია სრულდება მხოლოდ სასამართლოს მიერ მისი დამტკიცებით. თუმცა სამედიაციო სხდომის დამთავრება არ ნიშნავს კონფიდენციალურობის დაცვის მოვალეობის დასრულებას.<sup>26</sup> უშუალოდ კანონის „მედიაციის შესახებ“ თანახმად, კონფიდენციალურობის დაცვა მედიაციის დასრულების შემდეგაც უნდა გაგრძელდეს, თუ მხარეებსა და მედიატორს შორის დადებული წერილობითი შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.<sup>27</sup>

კონფიდენციალურობის მიზანია, შეამციროს მხარეების მხრიდან მედიატორისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის საფრთხე, რადგან ისინი პირად სისუსტეებზე საუბრისგან თავს იკავებენ. არადა მხარეებმა სწორედ კონფიდენციალური ინფორმაცია უნდა გააჟღერონ გამოსავლის მოსაძიებლად; არ არსებობს გულახდილობისა და ინფორმირებულობის პრინციპის დაცვის სხვა გზა.<sup>28</sup>

მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრული ინფორმაცია უსაფრთხოდ უნდა იყოს შენახული და მის გამჟღავნებაზე კონტროლი დაწესდეს.

---

ინტერნეტსამყაროში, VIII საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის „ინტერნეტი და საზოგადოება“ მასალები, ქუთაისი, 2017, 35-40.

<sup>23</sup> *Bush Robert A. Baruch*, Study of ethical Dilemmas and Policy Implications, A, Journal of Dispute Resolution, Iss. 1, Vol. 1994, 14.

<sup>24</sup> *Johnson D. P. Jr.*, Confidentiality in Mediation: What Can Florida Glean from the Uniform Mediation Act? Florida State University Law Review, Vol. 30, No. 3, 2003, 489.

<sup>25</sup> *ob. Oberman S.*, Confidentiality in Mediation: An Application of the Right to Privacy, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 27, No. 3, 2012, 548.

<sup>26</sup> *Tetunic L. F.*, Act Deux: Confidentiality after the Florida Mediation Confidentiality and Privilege Act, Nova Law Review, Vol. 36, Iss. 1, 2011, 82.

<sup>27</sup> „მედიაციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი.

<sup>28</sup> *Rabe C. S., Wode M.*, Mediation, Grundlagen, Methoden, rechtlicher Rahmen, 2. Auflage, Berlin, 2020, 25.

ისაა ეთიკური ვალდებულება გადაცემული ინფორმაციის დაცვაზე.<sup>29</sup> ამ გაგებით, **კონფიდენციალურობა განიხილება ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარის თქმის პრივილეგიად**, რომელიც ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის საფუძველია.<sup>30</sup> შესაბამისად, მედიაციის მხარეებს აქვთ „პრივილეგია, უარი თქვან ჩვენების მიცემაზე და არ მიანოდონ სხვა პირებს ახსნა-განმარტებები შემდგომ პროცესში, რომელიც სამედიაციო შეტყობინებებს ეხება.“<sup>31</sup>

შტატები იყენებენ ამ პრივილეგიას, როგორც სასამართლო განხილვებში კონფიდენციალურობის დაცვის ყველაზე ეფექტურ საფუძველს. დაცვის ეს ფორმა მედიაციის უნიფიცირებულმა აქტმაც გაითვალისწინა. შესაბამისად, პრივილეგია არის მტკიცებულებითი კონსტრუქცია, რომელიც მის მფლობელს აძლევს შესაძლებლობას, უარი თქვას მიღებული ინფორმაციის მტკიცებულების სახით გამოყენებაზე, თუ მხოლოდ მფლობელი არ იტყვის უარს პრივილეგიაზე ან განცხადებები არ ეხება პრივილეგიიდან გამონაკლის შემთხვევებს.<sup>32</sup> ესე იგი, მედიაციის უნიფიცირებულმა აქტმა შექმნა **კონფიდენციალურობის ფართო პრივილეგია, რომელიც ვრცელდება მონაწილეებსა და მედიატორებზე.**<sup>33</sup>

ამრიგად, **პრივილეგია სამართალში არის უფლება, დაუშვებლად ჩაითვალოს გარკვეული ინფორმაციის გამოყენება მტკიცებულებად.**<sup>34</sup> პრივილეგირებულ შეტყობინებებზე განიხილება მედიაციის პროცესში პირთა მხრიდან გაკეთებული განცხადებები, რომლებიც დაცულია გამჟღავნებისგან მონაწილის სტატუსით მედიატორის ან პროცესის მხარეთა მონაწილეობისას.<sup>35</sup>

ჩნდება კითხვა: რაა პრივილეგიის მიზანი?

მედიაციის პრივილეგიის ძირითადი მიზანია, **უზრუნველყოს მედიაციის მხარეთა დაცვა წარუმატებელი უარყოფითი რისკებისგან.** ამასთან, თუ კონფიდენციალურობის დაცვა ილუზორულია, მხარეები თავს შეიკავებენ მედიაციის პროცესში მონაწილეობისგან. პრივილეგიის კიდევ ერთი მთავარი მიზანია, **შეუქმნას საზოგადოებას შთაბეჭდილება იმაზე, რომ მედიატორი და მედიაციის პროცესი ნეიტრალური და მიუკერძოებელია.**<sup>36</sup> ამ თვალსაზრისით, მედიაციის **კონფიდენციალურობა ქმნის მხარეებისთვის გარემოს, იყვენ გახსნილი და გულღია ერთმანეთთან**, ვინაიდან მათ აქვთ შესაძლებლობა, მედიაციის გზით ერთმანეთს შეხვდნენ საზოგადოებრივი უხერხულობის შიშის ან მგრძობიარე ინფორმაციის გავრცელების საფრთხის გარეშე. მედიაციის უნიკალური თავისებურება არის მედიატორსა და თითოეულ მხარესთან ინდივიდუალური შეხვედრები (სესიები) ისე ჩატარდეს, რომ მეორე მხარე არ ესწრებოდეს ამ შეხვედრებს. როგორც წესი, ისინი წარმოებს იმიტომ, რომ მხარის მიერ მედიატორისთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მედიატორი არ გაუმჟღავნებს ამ შეტყობინებებს მეორე მხარეს ან სხვას ინფორმაციის მიმწოდებელი მხარის თანხმობის გარეშე.<sup>37</sup>

<sup>29</sup> *Pattenden R.*, The Law of Professional – Client confidentiality, Regulating the Disclosure of Confidential Personal Information, Oxford, 2003,12.

<sup>30</sup> კალანდაძე დ., კონფიდენციალურობის პრინციპი მედიაციის პროცესში და ქართული საკანონმდებლო რეალობა, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდეული“, 2018-2019, სპეციალური გამოცემა, 2019, 36.

<sup>31</sup> *Tetunic L. F.*, Act Deux: Confidentiality after the Florida Mediation Confidentiality and Privilege Act, *Nova Law Review*, Vol. 36, Iss. 1, 2011, 82.

<sup>32</sup> *Deason E. E.*, Predictable Mediation Confidentiality in the U.S. Federal System, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Col. 17, No.2, 2002, 259.

<sup>33</sup> *Johnson D. P. Jr.*, Confidentiality in Mediation: What Can Florida Glean from the Uniform Mediation Act? *Florida State University Law Review*, Vol. 30, No. 3, 2003, 492.

<sup>34</sup> *Scheutzwow O. S., Gillis L. S.*, Confidentiality and Privilege of Peer Review Information: More Imagined Than Real, *Journal of Law and Health*, Vol. 7, 1993, 179.

<sup>35</sup> *Rosenberg J. P.*, Keeping the Lid on Confidentiality: Mediation Privilege and Conflict of Laws, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 10, Iss. 1, 1994, 159.

<sup>36</sup> *Kirtley A.*, Mediation Privilege's Transition from Theory to Implementation: Designing a Mediation Privilege Standard to Protect Mediation Designing a Mediation Privilege Standard to Protect Mediation Participants, the Process and the Public Interest, The Participants, the Process and the Public Interest, *The Journal of Dispute Resolution*, Vol. 1995, No. 1, 10.

<sup>37</sup> *Wolski B.*, Confidentiality and Privilege in Mediation: Concepts in need of Better Regulation and Explanation, *UNSW Law Journal*, Vol. 43(4), 2020, 1561.

მედიაცია მხარეებს სთავაზობს შესაძლებლობას, მოლაპარაკებები იყოს კონფიდენციალური. გამოცდილება ადასტურებს, რომ მედიაცია ეფექტიანია, ვინაიდან სამედიაციო პროცესი კონფიდენციალურია. თუმცა მედიაციის დროს წარმოებულ მოლაპარაკებებს არ აქვთ მავალ-დებულზელი ძალა, ვიდრე მას არ ექნება შეთანხმების ფორმა.<sup>38</sup>

### 2.3. შიდა და გარე კონფიდენციალურობა მედიაციაში

სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით, განასხვავებენ შიდა და გარე კონფიდენციალურობას. გარე კონფიდენციალურობის დროს ცნობები უნდა იყოს დაცული მესამე პირებისგან. ამიტომ გარე კონფიდენციალურობისას გაჟღერებული ინფორმაციის დაცვის მოვალეობა ვრცელდება მედიატორის, რომელიმე მხარის, მხარის წარმომადგენლის, ექსპერტის, თარჯიმნის თუ მოწმის მიმართ. შესაბამისად, გარე კონფიდენციალურობა მედიაციის მონაწილეებს ავალდებულებს, არ გაამჟღავნონ ინფორმაცია და არ გადასცენ ის გარე პირებს.<sup>39</sup> ამ შემთხვევაში მხარეებს, მრჩეველებს, ექსპერტებს, თარჯიმნებს, მოწმეებს, მედიატორსა და სხვა დამხმარე პირებს ეკისრებათ მოვალეობა, არ გადასცენ ინფორმაცია იმ პირებს, რომლებიც ამ პროცესის მონაწილეებად არ ითვლებიან. გარე კონფიდენციალურობა მიმართულია იქითკენ, რომ საიდუმლო ინფორმაცია არ მიეწოდოს პროცესისგან გარეთ მყოფ პირებს, ე.წ. „გარე ურთიერთობის მონაწილეებს.“<sup>40</sup>

ამავე დროს, მიზანშეწონილია, მედიაციის დროს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ადრესატთა წრე გაფართოვდეს და გავრცელდეს ნებისმიერ პირზე, ვისაც შეიძლება თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას წვდომა ჰქონდეს მედიაციის ფარგლებში გაჟღერებულ ინფორმაციაზე. ასეთი პირი შეიძლება იყოს სტაჟიორი, პრაქტიკანტი,<sup>41</sup> ასევე, ის, ვინც ეხმარება მედიატორს არაპროფესიულ საკითხებში (მაგალითად, მდივანი) და მიიღო სხვის შესახებ ინფორმაცია. ამიტომ კონფიდენციალობის დაცვის მოვალეობა უნდა გავრცელდეს ნებისმიერ პირზე,<sup>42</sup> ვინც მედიაციის პროცესში იყო ჩართული.

რაც შეეხება შიდა კონფიდენციალურობას, ის გულისხმობს მედიატორის მოვალეობას, არ გაამხილოს ინდივიდუალური შეხვედრების დროს მხარისგან მიღებული ინფორმაცია.<sup>43</sup> ამიტომ შიდა კონფიდენციალურობის დაცვა ვრცელდება ინდივიდუალური შეხვედრების ფარგლებში გამჟღავნებულ ინფორმაციაზე<sup>44</sup> და შიდა კონფიდენციალურობის დაცვა მედიატორის მოვალეობაა.<sup>45</sup> ნდობის მაღალი ხარისხი მოქმედებს მედიატორისა და მხარის ინდივიდუალურ (განცალკევებულ) შეხვედრებზე, რომლებიც ყველაზე მეტად კონფიდენციალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან მხარის მოთხოვნით მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია შეიძლება მეორე მხარისთვისაც არ იყოს ცნობილი. ამდენად, ნდობის გაჩენა პირდაპირ უკავშირდება კონფიდენციალურობის დაცვას.<sup>46</sup>

<sup>38</sup> Field R., Wood N., Marketing Mediation ethically: The case of Confidentiality, Field & Wood, 2005, 146.

<sup>39</sup> კალანდაძე დ., კონფიდენციალურობის პრინციპი მედიაციის პროცესში და ქართული საკანონმდებლო რეალობა, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდეული“, 2018-2019, სპეციალური გამოცემა, 2019, 36.

<sup>40</sup> Nadja M. A., International and Comparative Mediation: Legal Perspectives, “Kluwer Law International”, 2009, 248.

<sup>41</sup> ჟორჟოლიანი ლ., კონფიდენციალურობის პრინციპი კოლექტიური შრომითსამართლებრივი დავის მედიაციის მეშვეობით განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდეული“, 2018-2019, თბ., 2019, 217.

<sup>42</sup> კონფიდენციალობის დაცვის ფართო კონცეფციაზე იხ. Meiss Reinhard W. von, Die Persönliche Geheimsphäre und deren Schutz im prozessualen Verfahren, Diessenhofen, 1975, 177-178.

<sup>43</sup> თვაური რ., კონფიდენციალურობის პრინციპის ბოჭვის სტანდარტი მედიაციის პროცესში „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდეული“, 2015, 27.

<sup>44</sup> Nadja M. A., International and Comparative Mediation: Legal Perspectives, “Kluwer Law International”, 2009, 249.

<sup>45</sup> Govori Z., Confidentiality under the ICC Mediation Rules compared to the LCIA Mediation Rules, International Hellenic University, 2016, 7.

<sup>46</sup> ცერცვაძე გ. (რედ.), მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბ., 2013, 25.

აქვე გასათვალისწინებელია მედიატორის საქმიანობის სპეციფიკა, რადგან მედიატორი მუშაობს, ძირითადად, **(ა) ან ღია კომუნიკაციის ან (ბ) კონფიდენციალურობის დაცვით.** თუ კომუნიკაცია ეფუძნება ღიაობას, მაშინ შეხვედრებისას გაჟღერებულ ინფორმაციაზე არ ვრცელდება კონფიდენციალურობის დაცვის მოვალეობა მანამ, ვიდრე მხარე არ გამოავლენს მედიატორთან ნებას დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების გასაიდუმლოების შესახებ.<sup>47</sup> იგი იზიარებს პრინციპს, რომ მედიატორში ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა აუცილებელია ნდობისა და ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად, ასევე, მხარეებს შორის სრული და გულწრფელი მოლაპარაკების ნახასაღისებლად.<sup>48</sup> თუმცა, როცა მედიატორის მოქმედებები ეფუძნება კონფიდენციალურობის დაცვის მიდგომას, მაშინ ნებისმიერი ინფორმაცია მიიჩნევა კონფიდენციალურად და მედიატორს მისი გამჟღავნების უფლება გაუჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულზე მხარეთა შეთანხმება იარსებებს.<sup>49</sup>

### 3. მედიაციის კონფიდენციალურობის მნიშვნელობის განმსაზღვრელი ფაქტორები

კონფიდენციალურობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მედიაციისთვის მრავალი მიზეზის გამო, როგორცაა: გულწრფელობა, სამართლიანობა, ნეიტრალურობა, არაფორმალური და მშვიდი გარემო, მედიაციის პროცესის დაცვა.

#### 3.1. გულწრფელობა

**ეფექტური მედიაცია მოითხოვს გულწრფელობას.** მედიატორი მხარეებს ეხმარება, გამოარკვიონ განსახილველი პრობლემები, გამონახონ შეთანხმებისთვის საჭირო შესაძლო პირობები, შეისწავლონ საკუთარი ინტერესები და გაითვალისწინონ ისინი, დაადგინონ წარმოშობილი დავის სიღრმეში არსებული მიზეზები. ხშირად ასეთი მოლაპარაკებები შეიძლება შეეხოს დელიკატურ საკითხებზე მხარეთა ღრმად შინაგან გრძნობებს. ეს მოლაპარაკებები მოითხოვს იმ ფაქტების აღიარებას, რომლებზეც მხარეები სხვა დროს დავობდნენ. კონფიდენციალურობა უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, მხარეთა ნებაყოფლობით მონაწილეობას პროცესში, მეორე მხრივ, ეფექტური და წარმატებული მოლაპარაკებების წარმოებას.<sup>50</sup>

მედიაცია ეფუძნება პრინციპს, რომ მოლაპარაკებების ეფექტური ხელშეწყობა შეიძლება მხოლოდ პირადულ და კონფიდენციალურ სივრცეში.<sup>51</sup> კონფიდენციალურობა გახდა მედიაციაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა; მონაწილეებს ეუბნებიან, რომ ის, რასაც იტყვიან მედიაციის დროს, არ იქნება მედიაციის ზღურბლს მიღმა გაჟღერებული და ადამიანები ამიტომ მოელიან მედიაციის პროცესისგან კონფიდენციალურობას.<sup>52</sup>

**კონფიდენციალურობის დაცვის ეს მოლოდინი არა მხოლოდ განასხვავებს მედიაციას სამართლო პროცესებისგან, არამედ საფუძველს უქმნის მხარეებსა და მედიატორს შორის უფრო გულწრფელ ურთიერთობას.** კონფიდენციალურობა მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, გულწრფელად განიხილონ ფაქტები, თავიანთი პოზიციები და დავების მოგვარების ვარიანტები.

<sup>47</sup> Govori Z., Confidentiality under the ICC Mediation Rules compared to the LCIA Mediation Rules, International Hellenic University, 2016, 7.

<sup>48</sup> Nadja M. A., International and Comparative Mediation: Legal Perspectives, “Kluwer Law International”, 2009, 249.

<sup>49</sup> Govori Z., Confidentiality under the ICC Mediation Rules compared to the LCIA Mediation Rules, International Hellenic University, 2016, 7.

<sup>50</sup> Freedman Lawrence R., Prigoff Michael L., Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Journal of Dispute Resolution, Vol. 2, Issue 1, 1986, 37-38.

<sup>51</sup> Boulle L., Nesic M., Mediation. Principles, Process, Practice. London et al.: Butterworths, 2001, 296-297; Stipanowich T., Why Businesses Need Mediation, Legal Studies Research Paper Series, 2004, 14.

<sup>52</sup> Rausch M., The Uniform Mediation Act, Ohio State Journal Dispute Resolution, Vol. 18, No.2, 2003, 608.



ამასთან, კონფიდენციალურობა ხელს უწყობს ინფორმაციის გაცვლასა და მხარეების აქტიურ მონაწილეობას მედიაციის პროცესში.<sup>53</sup>

აქედან გამომდინარე, **კონფიდენციალურობის პრინციპი იწვევს მედიაციის პროცესისადმი მხარეთა ნდობას. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მედიაციის წარმატებისთვის კონფიდენციალურობის დაცვის მოლოდინი.** ის ახალისებს მედიაციის მონაწილეების ღია და გულწრფელ დიალოგს,<sup>54</sup> ვინაიდან მხარეებმა იციან, რომ მათი კომუნიკაცია და გამხელელი ინფორმაცია კონფიდენციალური დარჩება.<sup>55</sup> ამდენად, ეს მხარეთა შეთანხმების მიღწევისთვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

### 3.2. სამართლიანობის დაცვა

**მხარეთა მიმართ სამართლიანობის დაცვა საჭიროებს კონფიდენციალურობას.** მაგალითად, სასამართლო პროცესებში არსებულ გარანტიებს აფასებს ადვოკატი, გამოიყენება მტკიცებულებები და პროცედურული წესები, ისინი კი ნაკლებადაა მნიშვნელოვანი მედიაციისთვის. მართლმსაჯულების განხორციელების ტრადიციული სისტემისგან განსხვავებით, მედიაციის დროს მხარეები ანარმოებენ მოლაპარაკებებს იმ მოლოდინის გარეშე, რომ ისინი მოგვიანებით იქნებიან შებოჭილი. ამ დროს გენერირებული ინფორმაციის შემდეგი გამოყენება შეიძლება საზიანო იყოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ერთ მხარეს უფრო მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე მეორეს. ამდენად, თუ სამედიაციო მოლაპარაკებების გამოყენება არ ჩაითვლება დაუშვებლად სასამართლო პროცესებში, მაშინ მედიაცია შეიძლება მხარემ გამოიყენოს, როგორც არაბრალეული მხარის სანინაამდეგოდ ინფორმაციის მიღების საშუალება.<sup>56</sup> სამართლიანობის უზრუნველსაყოფად მხარეებმა წინასწარ უნდა იცოდნენ, რა იქნება ღია და რა დარჩება კონფიდენციალური.<sup>57</sup>

მოცემულ შემთხვევაში მთავარია, სამართლიანობის მატერიალური მნიშვნელობა იყოს გათვალისწინებული. სუბსტანციური (შინაარსობრივი) სამართლიანობა გულისხმობს ისეთი სამედიაციო მორიგების მიღწევას, რომელიც შეესაბამება სამართლიანი ბალანსის, კანონიერების მინიმალურ სტანდარტებს, გონივრული თვალსაზრისით თანაზომიერად პასუხობს მხარეთა ინტერესებსა და მოლოდინებს უშუალოდ მედიაციის შედეგის მიმართ. სამართლიანობის, კანონიერებისა და თანაზომიერების ღირებულებებს შორის უნდა იყოს თანაზომიერი ბალანსი უზრუნველყოფილი.<sup>58</sup>

ამდენად, **გარდა მხარეთა გულწრფელობისა, სწორედ მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა ხდის მიღწეულ შეთანხმებას სამართლიანს.** თუ მხარეს ეცოდინება, რომ მედიაციის დროს გაჟღერებული ინფორმაცია არ იქნება დაცული და, შესაბამისად, არ იქნება კონფიდენციალური, დიდია ალბათობა, მან არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია სამართლიანი შეთანხმებისთვის.<sup>59</sup>

<sup>53</sup> *Stipanowich T.*, Why Businesses Need Mediation, Legal Studies Research Paper Series, 2004, 14.

<sup>54</sup> *Rausch M.*, The Uniform Mediation Act, Ohio State Journal Dispute Resolution, Vol. 18, No.2, 2003, 603.

<sup>55</sup> იხ. *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია (დავის გადაწყვეტის ეფექტური ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 96.

<sup>56</sup> *Freedman L. R., Prigoff M. L.*, Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Journal of Dispute Resolution, Vol. 2, Issue 1, 1986, 38.

<sup>57</sup> *Johnson D. P. Jr.*, Confidentiality in Mediation: What Can Florida Glean from the Uniform Mediation Act? Florida State University Law Review, Vol. 30, No. 3, 2003, 490.

<sup>58</sup> *Waldman E.* (editor), Mediation Ethics, Cases and Commentaries, Unites States of America, 2011, 2-3.

<sup>59</sup> *მაისურაძე თ.*, თვითგამორკვევისა და კონფიდენციალურობის პრინციპთა ურთიერთმიმართება მედიაციის ეთიკური ურღვევების უზრუნველყოფის პროცესში, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდელის“, სპეციალური გამოცემა, 2018-2019, 174.

### 3.3. მედიატორის ნეიტრალურობა

**მედიატორმა უნდა დაიცვას ნეიტრალურობა ფაქტებსა და მათ შეფასებასთან დაკავშირებით.** თუ იარსებებს საფრთხე, რომ მედიატორი გამოიყენებს ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ მიღებულ ინფორმაციას სასამართლო პროცესში, ეს შეზღუდავს დავის მხარეთა თავისუფლებას, იყენენ გულწრფელი მედიაციის დროს. მედიატორმა რომ მისცეს ჩვენება სასამართლოში, რაც არ უნდა სიფრთხილით იყოს ის წარმოდგენილი, უპირობოდ იქნება რომელიმე მხარის სასარგებლოდ გამოყენებული და ეს დაუკარგავს მედიატორის, როგორც მიუკერძოებელი პირის, საქმიანობას ეფექტიანობას.<sup>60</sup>

**პიპოთეტური შემთხვევა:** მხარემ არ იცის, რომელი საკითხები იქნება მედიაციის პროცესში განსახილველი. მან მიმართა მედიატორს ამ ინფორმაციის მინოდებისა და განმარტების თხოვნით. აქვს მედიატორს ინფორმირების მოვალეობა?

საქმე ისაა, რომ მედიატორმა მხარეთათვის გასაგებად უნდა წარმოადგინოს განსახილველ საკითხთან ნუსხა. თუმცა შეიძლება მხარეთა შორის ერთობლივმა შეხვედრამ ისე ჩაიაროს, რომ დღის წესრიგი ვერ განისაზღვროს მხარეთა შორის ურთიერთობის უფრო მეტად დაძაბვის გამო. ამ შემთხვევაში მედიატორი დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს კონკრეტულად ერთი მხარისთვის ინფორმაციის მინოდებას, რათა საკუთარი დამოკიდებულება არ გამოხატოს და მაქსიმალური ნეიტრალიტეტი დაიცვას. მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნება, მედიატორმა აღნიშნოს, რომ განსახილველ საკითხებს უშუალოდ მხარეები ადგენენ და ვინაიდან ვერ შედგა დღის წესრიგი, მან დააზუსტოს, რომელი საკითხ(ებ)ი მიაჩნია მნიშვნელოვნად მსჯელობისთვის, რათა შემდეგ ეს შეაჯეროს მეორე მხარესთან. აქვე მედიატორს აქვს უფლება, მიუკერძოებლობის დაცვის მიზნით, მიუთითოს მხარეს, რომ დამატებითი რჩევების მიღების მიზნით მას შეუძლია გამოიყენოს იურისტის კონსულტაცია.

**კონფიდენციალურობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მედიატორის ნეიტრალიტეტზე.** იდეალურ სიტუაციაში მედიატორი უნდა ცდილობდეს ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს მედიაციის პროცესის მონაწილეებს, ინფორმაცია შეუფერხებლად გადასცენ მედიატორს. მედიაციის მონაწილე შეიძლება არ მიენდოს მედიაციას, თუ ეცოდინება, რომ მედიატორი შეიძლება იყოს მონაწილედ მედიატორს. ეს მედიატორსაც უშლის ხელს, ჩამოაყალიბოს ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული გარემო, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს წარმატებული მედიაციისთვის.<sup>61</sup>

როგორც ჩანს, **მედიატორისთვის კონფიდენციალურობის დაცვის პრივილეგიის მინიჭება უზრუნველყოფს მედიატორის ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას.** თუ მედიატორი მიუკერძოებლად არ მიიჩნევა, არის იმის საფრთხე, რომ მხარეებმა უარი თქვან მედიაციის პროცესში მონაწილეობასა და ინფორმაციის გაცვლაზე. თუ მედიატორმა ვერ შექმნა ასეთი გარემო, მაშინ ეს მისი საქმიანობის ეფექტიანობას ამცირებს.<sup>62</sup>

ამდენად, კონფიდენციალურობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მედიაციის კიდევ ერთი ქვაკუთხედისთვის - მედიატორის ნეიტრალიტეტისთვის. სწორედ ეს ნეიტრალიტეტი, მედიატორის უნარების რწმენასთან ერთად, აძლევს მხარეებს საფუძველს, სრულად მიენდონ პროცესს, რათა ის ეფექტიანად გამოიყენონ. კონფიდენციალურობის დაცვა ხელს უწყობს მედიატორის ნეიტრალიტეტს. ამასთან, **კონფიდენციალურობა ემსახურება ინსტიტუციონალურ მიზანს,**

<sup>60</sup> *Freedman L. R., Prigoff M. L., Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Journal of Dispute Resolution, Vol. 2, Iss. 1, 1986, 38.*

<sup>61</sup> *Johnson D. P. Jr., Confidentiality in Mediation: What Can Florida Glean from the Uniform Mediation Act? Florida State University Law Review, Vol. 30, No. 3, 2003, 490.*

<sup>62</sup> *Rosenberg P. J., Keeping the Lid on Confidentiality: Mediation Privilege and Conflict of Laws, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 10, Iss. 1, 1994, 160.*

უზრუნველყოფს რა სასამართლო გადაწყვეტილების ნეიტრალურობას სასამართლოში, რომელმაც შეიძლება განიხილოს მედიაციის დროს წარმოშობილი დავა.<sup>63</sup>

### 3.4. მედიაციის არჩევის სტიმული

**კონფიდენციალურობა არის სტიმული, ბევრმა დავის გადასაწყვეტად აირჩიოს მედიაცია.** მედიატორი ქმნის დავის მოწესრიგებისთვის მშვიდ და არაფორმალურ გარემოს, რაც არის მხარეთათვის ძირითადი მოტივაცია, აირჩიონ სწორედ მედიაცია, მიუხედავად იმისა, დავა ეხება კომერციულ საიდუმლოებას თუ არასასურველ პირადულ საკითხებს.<sup>64</sup>

არაფორმალური გარემო ხელს უწყობს მედიაციის პროცესში მხარეთა აქტიურ მონაწილეობას. თუ სასამართლო სხდომების დროს მანტიაში წარმოდგენილი მოსამართლის წინაშე მხარეებს გარკვეულწილად რიდი აქვთ, მედიაციის დროს პროცესი ისე წარიმართება, რომ მხარეები მაქსიმალურად ჩაერთონ პროცესში, თვითონ განსაზღვრონ მოლაპარაკებისთვის აუცილებელი საკითხები და შეიტანონ მიმდინარე პროცესში ცვლილებები. ეს განპირობებულია მედიაციის მხარეთათვის მეგობრული გარემოს შექმნით, რაც არაფორმალური ხასიათის გამო მხარეებს აძლევს მათი ინტერესების დაცვისა და რეალიზაციის ეფექტურ საშუალებას.<sup>65</sup>

### 3.5. მედიატორისა და მედიაციის პროგრამის დაცვა

**მედიატორი და მედიაციის პროგრამა საჭიროებს დაცვას სხვადასხვა მავნე ფაქტორისგან, მათ შორის შევიწროებისგან.** ახალ საზოგადოებრივ პროგრამებს აქვთ შეზღუდული რესურსი საქმის სრულად ხელმისაწვდომობისთვის. სასამართლოში ხშირმა გამოძახებამ შეიძლება განაპირობოს პერსონალის დროის დაკავება და ხელი შეუშალოს მოხალისეებს, მიიღონ მედიატორებად მონაწილეობა პროცესებში. ამასთან, პროგრამების სათანადო შეფასება საჭიროებს ადეკვატური და ზუსტი ჩანაწერების გაკეთებას. ბევრი პროგრამა არ ითვალისწინებს, იქნება თუ არა ჩანაწერები შენახული საკანონმდებლო დაცვის არარსებობისას, რამდენად გავრცელდება კონფიდენციალურობის დაცვის მოვალეობა ამ ჩანაწერებზე. ამიტომ მედიაციის პროგრამის განმახორციელებლები, როგორც წესი, ანადგურებენ მედიაციის საქმეებზე არსებულ ჩანაწერებს კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით.<sup>66</sup>

კონფიდენციალურობის მნიშვნელობა მედიაციაში აქსიომურია. უფრო ზუსტად რომ აღინიშნოს, კონფიდენციალურობის აღიარებას აქვს ცენტრალური მნიშვნელობა. კონფიდენციალურობის სარგებელი გამომდინარეობს მედიაციის პროცესის თითოეული მხარის მოლოდინიდან, არც მედიატორმა და არც მეორე მხარემ შეძლოს მოგვიანებით გაამჟღავნოს ის, რაც მოხდა. რამდენადაც მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა არაა აბსოლუტური, ამ მოლოდინის ძალა დამოკიდებულია თუნდაც მიახლოებით წინასწარმეტყველების შესაძლებლობაზე, განსაზღვრო ინფორმაციის გამჟღავნების საზღვრები მომავალ დავაში. თუმცა ყველაფრის წინასწარ განჭვრეტა რთულია, რამდენადაც არსებობს ბევრი არაკონტროლირებადი ფაქტორი, რომელსაც სასამართლო იყენებს ინფორმაციის გამჟღავნებისთვის.<sup>67</sup>

<sup>63</sup> Deason E. E., Predictable Mediation Confidentiality in the U.S. Federal System, Ohio State Journal on Dispute Resolution, Col. 17, No.2, 2002, 246-247.

<sup>64</sup> Freedman L. R., Prigoff M. L., Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Journal of Dispute Resolution, Vol. 2, Iss. 1, 1986, 38.

<sup>65</sup> იხ. ყანდაშვილი ი., მედიაცია (დავის გადაწყვეტის ეფექტური ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 135-136.

<sup>66</sup> Freedman L. R., Prigoff M. L., Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Journal of Dispute Resolution, Vol. 2, Iss. 1, 1986, 38.

<sup>67</sup> Deason E. E., Predictable Mediation Confidentiality in the U.S. Federal System, Ohio State Journal on Dispute Resolution, Col. 17, No.2, 2002, 240.

ამდენად, კონფიდენციალურობას მედიაციაში აქვს სხვადასხვა დადებითი ეფექტის (გულწრფელობა, მედიატორის ნეიტრალურობა, სამართლიანობა, მედიატორის პროგრამის დაცვა და სხვ.) წარმოშობის სტიმულირების ფუნქცია. ფაქტობრივად, მედიაციის კონფიდენციალურობა ამ ფაქტორებს შორის ლოგიკურ კავშირს უზრუნველყოფს.

#### 4. მედიატორი ეთიკური დილემების წინაშე

მედიატორთათვის დადგენილია პროფესიული ეთიკის კოდექსი<sup>68</sup>, რომელიც აწესრიგებს მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, თვითგამორკვევაში ხელშეწყობის, კონფიდენციალობის დაცვისა და სხვა საკითხებს. მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის დაცვის დროს შეიძლება ის შეეჯახოს სხვა ღირებულებას, რაც წარმოშობს მათ შორის ღირებულებით კონფლიქტს.

საერთოდ, ეთიკური დილემა არსებობს იმ შემთხვევაში, როცა მედიატორი იზღუდება სხვა პროფესიის პროფესიული ეთიკის ნორმებით. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს მედიატორის პროფესიული ეთიკისა და იურისტის, ფსიქოლოგის და სხვა პროფესიული ეთიკის სტანდარტების ურთიერთგადაკვეთას.<sup>69</sup>

დღეისათვის საზოგადოებრივი ურთიერთობების გამრავალფეროვნების კვლადაკვალ მსოფლიო მასშტაბით დასტურდება სასამართლოების გადატვირთულობის პრობლემა. მართლმსაჯულების ეფექტიანობისთვის სახელმწიფოთა მიერ ხორციელდება დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების დანერგვა და განვითარების ხელშეწყობა. პრაქტიკასა და თეორიაში აღიარებულია დავის ალტერნატიული მექანიზმების არაერთი არსობრივი და პროცესუალური უპირატესობა.

ნაშრომის მიზანია ქართველი მკითხველისათვის საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების, მათ შორის, კრიტიკული მოსაზრებების გაზიარება, რაც არსებითად მნიშვნელოვანია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების სათანადო ხელშეწყობისა და აღნიშნულ სფეროში სამართლის პოლიტიკის განვითარებისათვის.

ნაშრომში მოკლედ მიმოხილულია დავების სასამართლო და არასასამართლო მეთოდებით განხილვის ძირითადი პრობლემატიკა და გამოსავლის სახით შემოთავაზებულია წინასწარი კონსილიაციის ინსტიტუტის დანერგვა.

**საკვანძო სიტყვები:** მედიაცია, კონსილიაცია, არბიტრაჟი

### 1. შესავალი

საზოგადოებრივი ურთიერთობები ვითარდება და იცვლება, ჩნდება ახალი დარგები, მაგალითად ციფრული ეკონომიკა, რომელთა განვითარების შედეგად წარმოშობილი სამოქალაქო ურთიერთობების რეგულირებაც ჯერ არ მომხდარა. რაც უფრო ცვალებადია მსოფლიო, მით უფრო და უფრო მზარდი და მრავალფეროვანია სამოქალაქო სახის კონფლიქტები. კონფლიქტის არსებობა იწვევს მართლმსაჯულების არსებობის აუცილებლობას. ადამიანთა შორის ინტერესთა კონფლიქტი რომ არ წარმოშობილიყო, ის არასდროს მოიგონებდა სიტყვა მართლმსაჯულებას და არც ჩაუფიქრებოდა იმ იდეას, რომელზეც იგი ემყარება.<sup>1</sup> მართლმსაჯულება ადამიანთა ინტერესთა კონფლიქტებს შორის ბალანსის აღდგენისა და მისი შენარჩუნების ხელშეწყობა, რომლის მიღწევა შესაძლებელია სათანადო სტანდარტებისა და ფასეულობების გამოყენებით, დაცვითა და გათვალისწინებით. ხოლო კითხვაზე, თუ ვინ ადგენს ამგვარ სტანდარტებს და ღირებულებებს, მეცნიერები ორი მიმართულებით ავითარებენ აზრს: კანონებზე დამყარებული მართლმსაჯულება - ფორმალური სამართალი და მხარეებზე დაფუძნებული სამართალი - კრეატიული მართლმსაჯულება.<sup>2</sup> ამ ორი მიმართულებიდან დავის მოგვარების გზის არჩევასა და დამწყვეტია კონფლიქტის მოგვარებისადმი მხარეთა ფსიქოლოგიური მიდგომა. კრეატიული მართლმსაჯულება შეიძლება განხორციელდეს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებით: არბიტრაჟი, მედიაცია, კონსილიაცია და ასევე პრევენტიული მართლმსაჯულების განმარტებული ორგანოების, მაგალითად, ნოტარიატის საშუალებით. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების სტატისტიკის ანალიზით შესაძლებელია მსჯელობა საზოგადოების სამართლებრივ კულტურაზე. რომელ ქვეყნებშიც უფრო განვითარებულია და-

\* სამართლის დოქტორი, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის და ალტერნატიული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

<sup>1</sup> Carver Th.N., Essays in Social Justice. Harvard University Press, 2013, 3, <<https://doi.org/10.4159/harvard.97806742-87907>> [29.05.2023].

<sup>2</sup> Elnegahy Sh., Can Mediation Deliver Justice? Vol. 18, 2017, 766, <[https://www.cardozojcr.com/s/CAC305\\_crop.pdf](https://www.cardozojcr.com/s/CAC305_crop.pdf)> [29.05.2023].

ვის არასასამართლო მეთოდებით გადაჭრის საშუალებები, შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს, რომ მისი მოსახლეობა უფრო მომზადებულია, რომ იტვირთოს საკუთარი ბედის გადანყვეტის პასუხისმგებლობა, მეტად კომპრომისულია ვიდრე რადიკალური. თუმცა, აქვე შესაძლებელია სანინა-აღმდეგო დასკვნის განვითარება, რომლის შესაბამისადაც დავის ალტერნატიული გადანყვეტის ფორმების განვითარება შესაძლოა სასამართლო ბიუროკრატიაშიც გამოიწვიოს. როდესაც ხალხი, რომელიც ხელისუფლების წყაროა, თავის მიერ დათმობილ ძალაუფლებას ანიჭებს სასამართლოს მართლმსაჯულების განსახორციელებლად, მაგრამ ვერ იღებს დროულ მართლმსაჯულებას, შემდეგ ის დამოუკიდებლად ცდილობს სხვა ალტერნატიული გზების მოძიებასა და განვითარებას. ისტორიული ქვეყნებიდან, რომ ADR სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო სისტემაში შეტანილია, როგორც სტრუქტურული, გადატვირთული და ძვირადღირებული სასამართლო სისტემების სანინააღმდეგო საშუალება: გაერთიანებული სამეფოს ლორდ ვულფის რეფორმა აღნიშნულის კარგი მაგალითია.<sup>3</sup>

როგორც წესი, სამოქალაქო სასამართლოების განსახილველი „სამოქალაქო დავების“ ცნება ანუ განსაზღვრება - თუ რას მიიჩნევენ სამოქალაქო დავად - არ არის ხელმისაწვდომი. უმეტეს შემთხვევაში ასეთი დავები განსაზღვრულია ნეგატიური გზით და მასში მოიაზრება ყველა ის დავა, რომელიც არ არის სისხლის ან ადმინისტრაციული ბუნების.<sup>4</sup> ეს განპირობებულია სწორედ ურთიერთობების მრავალფეროვნებით, რათა ამომწურავმა ჩამონათვალმა არ შეაფერხოს სამოქალაქო ბრუნვა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითად მიზანი სწორედ ამ კონფლიქტების გადანყვეტაა, სამართალწარმოების განხორციელების გზა სამოქალაქო სამართალზე დამოკიდებული არ არის. სამოქალაქო სამართალწარმოების განხორციელების გზა განპირობებს სამოქალაქო სამართლით მინიჭებული უფლებების რეალიზებას და იმ ზოგად ურთიერთობებზე დამოკიდებული, რაც მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის კონკრეტული კონსტიტუციითაა განსაზღვრული. კონსტიტუციით ადამიანის ფუნდამენტური უფლებების აღიარებას პირდაპირი გავლენა აქვს სამოქალაქო საპროცესო სამართალზე. ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო მიდგომებიც, რომელიც საპროცესო კუთხით ძირითადად ჩამოყალიბებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში.

დღესდღეობით სამოქალაქო სამართლებრივი კონფლიქტების გადაჭრის სამ ძირითად სამართლებრივ გზას შორის როგორცაა სასამართლო, არბიტრაჟი და მედიაცია/კონსილიაცია, რომელთაც ერთობლივად კონფლიქტის გადაჭრის ტრიადასაც უწოდებენ, მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი მხარეთა თავისუფლების, ავტონომიურობის საზღვრებში მდგომარეობს. მედიატორი არის მოლაპარაკების დამხმარე, კომუნიკაციის ხელშემწყობი და დავის შინაარსობრივი გადანყვეტა მთლიანად მხარეებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, გადანყვეტილების მიღების მთელი პასუხისმგებლობა მხარეებს ეკისრებათ. ამასთან, ისინი თავისუფალნი არიან თავისი უფლებების და ვალდებულებების განსაზღვრაში. არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეების თავისუფლება არბიტრაჟის არჩევითა და საარბიტრაჟო შეთანხმების დადებით გამოიხატება. ხოლო, მას შემდეგ რაც საქმე არბიტრაჟს გადაეცემა, მისი გადანყვეტილება სავალდებულო ხდება. მხარეები არბიტრს მიანდობენ არა მხოლოდ დავის გადანყვეტას, არამედ აღიარებენ არბიტრის საბოლოო უფლებამოსილებას. შესაბამისად, მხარეთა თავისუფლება გარკვეულწილად შეზღუდულია და დავის გადანყვეტის პასუხისმგებლობა არბიტრაჟს ეკისრება. ამ თვალსაზრისით, არბიტრაჟი ვალდებულია კონფლიქტი მოაგვაროს. რაც შეეხება სასამართლოს, სარჩელის აღძვრის შემდეგ დავის გადანყვეტა მთლიანად მხარეთა კომპეტენციას სცილდება და სასამართლოზე

<sup>3</sup> Zappalaglio A., Recent Developments Concerning Mandatory Mediation in Italy: Some Comments on a Troubled History, 2013, 3, <[https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2478268](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2478268)> [29.05.2023].

<sup>4</sup> Eliantonio M., Backes Ch.W., Van Rhee C.H., Spronken T.N.B.M., Berlee A., Standing Up for Your Right(s) in Europe, 2012, 13, <[https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document.html?reference=IPOL-JURI\\_ET%282012%29462478](https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document.html?reference=IPOL-JURI_ET%282012%29462478)> [29.05.2023].

გადადის. სასამართლოს არ აქვს უფლება უარი თქვას მართლმსაჯულებაზე სამოქალაქო საქმეებზე, თუნდაც ნორმის ბუნდოვანობის ან არარსებობის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა რისკები გაცილებით მაღალია, ვიდრე ADR-ში მონაწილეობა, სასამართლოს სავალდებულო მექანიზმები მხარეებს შორის ახალ ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას აყალიბებს: ისინი სამართლიანი, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას ელიან. თუ ეს მოლოდინები არ გამართლდება, იმედგაცრუება ჩნდება, როგორც მხარეებში, ისე ზოგადად საზოგადოებაში.

თავის მხრივ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები, რომლებიც ამ ბრუნვის უსაფრთხოებისკენ ისწრაფვიან უფრო და უფრო ეძებენ თავისუფალ სივრცეებს, რაშიც ადვილად გვარწმუნებს ბოლოდროინდელი „სამართლის უზენაესობისა“ და „კოდის უზენაესობის“ პრინციპების დაპირისპირება და ალტერნატიული სახელმწიფოსაგან არაკონტროლირებადი ვირტუალური სამყაროს შექმნა,<sup>5</sup> სადაც ადამიანები დამოუკიდებლად ახდენენ როგორც ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას, ასევე მათგან წარმოშობილი დავების გადაწყვეტას. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე არსებობს სივრცე, სადაც ტრადიციული სამართლის გარეშე ხდება გარკვეული ურთიერთობის რეგულირება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წარმოშობილი სამოქალაქო დავების რეგულირებისათვის სახელმწიფოებრივი ფორმები იქნეს შენარჩუნებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს სამოქალაქო დავების გადაჭრის სხვადასხვა საშუალების უპირატესობები და ნაკლოვანებები, რაც შემდგომში მათი განვითარების პერპექტივას დასახავს.

## 2. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება

სასამართლოების გადატვირთულობის გამო ბევრმა სახელმწიფომ შემოიღო კანონმდებლობა ADR-ის ნახალისების მიზნით. ავსტრიაში, მაგალითად, მედიაციის შესახებ კანონმდებლობა (Mediationsgesetz) შემოღებულ იქნა 2004 წელს. ბელგიაში ახალი კანონმდებლობა ამ სფეროში მიღებული იქნა პარლამენტის მიერ (ბელგიის სასამართლო კოდექსის 1724–37 სექციები) და ADR-ის მიმართ ინტერესი ზენაციონალურ დონეზეა გამოხატული. ევროპის საბჭოს ფარგლებში, მართლმსაჯულების ეფექტიანობის კომისია (ფრანგული აკრონიმით CEPEJ) განიხილავს მედიაციას, როგორც სამოქალაქო საქმეებში სასამართლო პროცესის ალტერნატივას (მათ შორის ელექტრონული მედიაცია). ევროკავშირმა მიიღო 2008 წლის 21 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2008/52/EC სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ.<sup>6</sup>

მედიაციის მიმოხილვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება, რომელთაც მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის გზა უკვე გაიარეს. სამაგალითოდ შესაძლებელია ბელგიის მაგალითის ანალიზი. ბელგიის მედიაციის აქტი 2005 წელს შევიდა ძალაში. ეს აქტი განასხვავებს ნებაყოფლობით - სასამართლოს გარეშე და სასამართლო მედიაციას. ბელგიური სასამართლო მედიაციის მსგავსია დღესდღეობით საქართველოში დანერგილი მედიაციაც. ბელგიელი იურისტების მოსაზრებით ნებაყოფლობითი სასამართლო მედიაცია დადებითადაა შეფასებული, მაგრამ რაც შეეხება სასამართლო მედიაციას ის დიდი წარმატებით ვერ სარგებლობს, რის ერთ-ერთ მიზეზად მისი ფორმალურობაც სახელდება.<sup>7</sup>

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ხერხების კუთხით საინტერესოა ასევე იტალიის გამოცდილების განხილვა, სადაც მოხდა ევროკავშირის 2013/11/EU ADR და 2013/11/ EU მომხმ-

<sup>5</sup> ხარიტონაშვილი ნ., შედარებითი სამოქალაქო პროცესი, „ბონა კაუზა“, თბ., 2022, 163.

<sup>6</sup> Van Rhee C.H., Verkerk R., Civil Procedure, Elgar Encyclopedia of Comparative Law, 2012, 143, <[https://www.academia.edu/18369806/CIVIL\\_PROCEDURE\\_Elgar\\_Encyclopedia\\_of\\_Comparative\\_Law\\_Second\\_Edition\\_2012\\_p\\_140\\_156?auto=download](https://www.academia.edu/18369806/CIVIL_PROCEDURE_Elgar_Encyclopedia_of_Comparative_Law_Second_Edition_2012_p_140_156?auto=download)> [29.05.2023].

<sup>7</sup> Matteucci G., Mandatory Mediation, the Italian Experience, Vol. 16, 2015, 189, <[https://www.researchgate.net/publication/286409655\\_MANDATORY\\_MEDIATION\\_THE\\_ITALIAN\\_EXPERIENCE](https://www.researchgate.net/publication/286409655_MANDATORY_MEDIATION_THE_ITALIAN_EXPERIENCE)> [29.05.2023].

რებლის ADR– დირექტივის იმპლემენტაცია. იტალიელი მეცნიერების მოსაზრებით ტერმინი ADR - რომელიც დავის ალტერნატიულ გადაწყვეტას ნიშნავს, ასევე შეიძლება განიმარტოს როგორც დავის ადეკვატური გადაწყვეტა. იტალიის პირველ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (1865) შესავლის შვიდი მუხლის სათაური იყო „შერიგება“. 261/1892 კანონის თანახმად მოსამართლეს „შერიგების მისაღწევად შეეძლო კერძო მოსმენაზე მოენვია ერთი მხარე“ (ante litteram caucus). ამიტომ შერიგება / მედიაცია იტალიის იურიდიულ და სასამართლო კულტურას ეკუთვნის, რაც შეწყვიტა მსოფლიო ომებმა. საკანონმდებლო ნორმამ No. 5/2003 (ძალაშია 2005 წლიდან) დააწესა ნებაყოფლობითი მედიაცია, მაგრამ მას არავინ იყენებდა „იმიტომ, რომ არ იყო სავალდებულო“.<sup>8</sup> მედიაციის შემდგომი განვითარება იტალიაშიც გადატვირთულ სასამართლო სისტემას უკავშირდება. 2009 წელს სასამართლო სისტემაში იყო 5,826,440 დაუსრულებელი სამოქალაქო საქმე. სავალდებულო მედიაცია მხოლოდ 2010 წელს დაინერგა. მას შეხვდა ადვოკატთა მრისხანე წინააღმდეგობა (კულტურისა და შემოსავლების საკითხი) და მოსამართლეთა მხრიდან კეთილგანწყობილი უგულებელყოფა (კულტურის საკითხი).<sup>9</sup> სავალდებულო მედიაციის ძალაში შესვლიდან მალევე იტალიელმა ადვოკატებმა დაიწყეს ძლიერი მოძრაობა მის წინააღმდეგ. ბრძოლის იმპულსი გახდა პირველი ინსტანციის სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ საჭირო იყო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკითხზე სავალდებულო მედიაცია შეესაბამებოდა თუ არა სასამართლოსათვის ხელმისაწვდომობის უფლებას, რომელიც გათვალისწინებულია იტალიის კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ ყველა წესი სავალდებულო მედიაციის შესახებ გამოაცხადა და კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ. თუმცა ევროკავშირის ზეგავლენის შედეგად, ე.წ. „სავალდებულო კანონით“ No.69/2013, აღდგა მედიაცია, როგორც სავალდებულო პირველი ნაბიჯი სასამართლოში მისვლამდე.<sup>10</sup> 20-წლიანი მრავალფეროვანი ცვლილებების შედეგად იტალიაში სრულადაა ათვისებული დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სავალდებულო და ნებაყოფლობითი ხერხები - მედიაცია, კონსილიაცია და ა.შ.<sup>11</sup>

აღნიშნულის გათვალისწინებით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დავის გადაჭრის სხვადასხვა საშუალებების შედარებითი მიმოხილვა, რათა გამოვლინდეს ის პრობლემური საკითხები, რაც ამ ინსტიტუტების სრულყოფილად მუშაობას უშლის ხელს და დასახულ იქნას სამომავლო პერსპექტივები.

### 3. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები საქართველოში

მედიაცია თავისი არსით ჩვეულებითი სამართლის ნაყოფია და დღეისათვის სახელმწიფოები ცდილობენ მის საკანონმდებლო რეგლამენტაციას. საქართველო მცირემიწიანი და მოსახლეობიანი ხალხია, ხოლო ქართულ კულტურას და ენას ევროპული კულტურა ნაკლებად იცნობს. თუ ისტორიას არ გადავხედავთ შესაძლოა მედიაციის საქართველოში დანერგვა ნაკარნახევ განვითარებად ჩავთვალოთ, თუმცა მედიაციის ინსტიტუტი საქართველოში უძველესი დროიდან არსებობს. მედიაცია საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ, წინასახელმწიფოებრივ ეტაპზე იყო განვითარებული საქართველოში. დავის განხილვის ეს მეთოდი შენარჩუნდა შუა საუკუნეებში და საქართველოს ზოგიერთ კუთხეს დღემდე შემორჩა;<sup>12</sup>

2014 წლის 27 ივნისს, ერთის მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ ქვეყნებს შორის, და მეორე მხრივ, საქართველოს შორის გაფორმდა ასო-

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> *Silvestri E.*, Too much of a Good Thing: Alternative Dispute Resolution in Italy, 2017, 79 <[https://www.academia.edu/36857715/Too\\_much\\_of\\_a\\_good\\_thing\\_Alternative\\_Dispute\\_Resolution\\_in\\_Italy](https://www.academia.edu/36857715/Too_much_of_a_good_thing_Alternative_Dispute_Resolution_in_Italy), [29.05.2023].

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> *ტყემალაძე ს.*, მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბ., 2016, 10, <[https://www.ge-undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic\\_governance/mediation\\_in\\_georgia\\_2016.html](https://www.ge-undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/mediation_in_georgia_2016.html)> [29.05.2023].



ცირების შეთანხმება, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 2014 წლის 18 ივლისს.<sup>13</sup> ხელშეკრულება ცალსახად განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებას, შეიმუშაოს დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალებები (მედიაცია, არბიტრაჟი) და შექმნას ხელსაყრელი პირობები მათი გამოყენებისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2011 წლის 20 დეკემბრის კანონით განხორციელებული ცვლილებებით საქართველოში დამკვიდრდა სასამართლოსთან არსებული მედიაცია. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მედიაცია საქართველოში 2011 წლიდან არსებობდა მხარეთა უფლებების საკანონმდებლო გარანტიების გაფართოების მიზნით 2019 წლის 18 სექტემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“.

შემდგომში საქართველო მიუერთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის N73/198 რეზოლუციით 2018 წლის 20 დეკემბერს დამტკიცებულ „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე“ (ე.წ. სინგაპურის კონვენცია „მედიაციის შესახებ“) კონვენციას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსს 2021 წლის 22 ივნისის №668 კანონით დაემატა კარი, რომლითაც განისაზღვრა სასამართლოს მონაწილეობა „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენციის შესაბამისად დადებული საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობასა და აღსრულებაში.

დღეს არსებული რეგულაციებით მედიაციას არბიტრაჟისაგან განსხვავებით შესაძლოა დაექვემდებაროს ყველა სახის დავა გარდა იმ კატეგორიისა, რომელიც მაღალი საჯარო მნიშვნელობის მქონეა და მათზე სასამართლო აღჭურვილია ინკვიზიციური უფლებამოსილებით. კერძოდ ესენია, შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დავებისა; თუმცა აღნიშნულ საკითხებში არ შედის განქორწინების შემთხვევაში ბავშვის მიკუთვნებასთან დაკავშირებული დავა, რომელიც ასევე მაღალი საჯარო ინტერესით ხასიათდება და ბავშვის უპირატესი ინტერესის გათვალისწინებას მოიაზრებს, ხოლო მედიაციის პროცესი, თავის მხრივ არ განსაზღვრავს მორიგებაში ბავშვის მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, დავა მედიატორს შეიძლება გადაეცეს საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. ამავე კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსამართლე შესაბამისი საქმის გარემოებებს წინასწარ აფასებს და მხარეთა თანხმობის გარეშე, ხოლო თუ ამავე დავაზე გამოყენებულ იქნა კერძო მედიაციის შესაძლებლობა და იგი უშედეგოდ დასრულდა, მხარეთა თანხმობით, იღებს გადაწყვეტილებას დავის საქმის მედიატორისათვის გადაცემის შესახებ. ამასთან, 2019 წლის 27 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს #1/366 გადაწყვეტილება „სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ კიდევ უფრო აზუსტებს სასამართლო მედიაციისათვის საქმის გადაცემის საფუძვლებს, რომელიც სასამართლოსგან მოითხოვს საქმის გაცნობას და შესწავლას და საქმის „მედიაციაუნარიანობის“ შეფასებას. მნიშვნელოვანი საკითხია სსკ-ის XXI<sup>1</sup> თავით განსაზღვრული სასამართლო მედიაციის სავალდებულობის საკითხთან დაკავშირებული 187<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დათქმა, რომლის შესაბამისადაც, მედიატორისათვის საქმის გადაცემის შესახებ განჩინება არ გასაჩივრდება. აღმკვეთი განჩინებების გაუსაჩივრებლობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში საკმაოდ მრავლად დადგინდა საპროცესო კანონმდებლობაში. ამა თუ იმ საპროცესო ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შედეგად რამოდენიმე მათგანი

<sup>13</sup> Association Agreement Between the European Union and the European Atomic Energy Community and Their Member States, of the One Part, and Georgia, of the Other Part, <[https://eur-lex.europa.eu/eli/agree\\_internation/2014/494/2021-06-17](https://eur-lex.europa.eu/eli/agree_internation/2014/494/2021-06-17)> [29.05.2023].

გაუქმდა.<sup>14</sup> თუმცა, მედიაციისთვის საქმის გადაცემის შესახებ განჩინების გასაჩივრების დაუშვებლობა განპირობებულია მედიაციის პროცესში შეთანხმების ნებაყოფლობითობის არსობრივი მახასიათებლით. ასევე იმ არგუმენტით, რომ მედიაციის პროცესის ნებაყოფლობითობიდან გამომდინარე მხარეებს სასამართლო სავალდებულო მედიაციაში მხოლოდ ორ სავალდებულო სესიაზე ეკისრებათ გამოცხადების ვალდებულება მედიაციის პროცესის და მისი შედეგების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად. ამავე დროს მხარეებს ნებისმიერ ეტაპზე აქვთ ცალმხრივად მედიაციის პროცესის შეწყვეტის უფლება შეთანხმების ვალდებულების გარეშე. სესიებზე სავალდებულო გამოცხადების ვალდებულება განპირობებულია იმ საფუძველით, რომ მედიატორს მიეცეს „მედიაციის შესახებ“ კანონის 8.1. მუხლის შესაბამისად მხარის ინფორმირების შესაძლებლობა მედიაციის პრინციპებზე, მხარეთა უფლებებზე, წარმომადგენლის ყოლის შესაძლებლობაზე, აღსრულების წესსზე, რათა მხარემ ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღოს მედიაციის პროცესში მონაწილეობასა და შეთანხმების მიზანშეწონილობაზე თვითგამორკვევის პრინციპის სრული დაცვით.

განსაკუთრებით საინტერესოა სსსკ-ის 186-ე მუხლის ბ<sup>1</sup>) პუნქტი, რომლის თანახმად სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველია თუ არსებობს სანოტარო მედიაციის ფარგლებში სანოტარო წესით დადასტურებული მორიგების აქტი; ან ამავე მუხლის ბ<sup>3</sup>) პუნქტის თანახმად მხარეთა შორის არსებობს მედიაციის თაობაზე შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, რომ არ მიმართონ სასამართლოს განსაზღვრული ვადის ან გარემოების დადგომამდე, – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსარჩელე ადასტურებს, რომ სასამართლო განხილვის გარეშე მას გამოუსწორებელი ზიანი მიადგება; საგულისხმოა, რომ მსგავსი დათქმა არსებობდა მხარეთა შორის საარბიტრაჟო დათქმასთან მიმართებაში, კერძოდ 186-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“) ქვეპუნქტი ითვალისწინებდა სარჩელის მიუღებლობას თუ მხარეებს დადებული ჰქონდათ ხელშეკრულება, ან არსებობდა მხარეთა შეთანხმება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად გადაეცეს არბიტრაჟს; აღნიშნული მუხლი ამოღებულ იქნა 2015 წლის 18 მარტის №3220 კანონით და სსსკ-ის კანონის 272<sup>1</sup> მუხლით საარბიტრაჟო შეთანხმება გახდა მხარის განცხადების საფუძველზე საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. აღნიშნული ცვლილება სავსებით შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს უფლებას და არ ზღუდავს სასამართლო ხელმისაწვდომობას. ხოლო მედიაციის თაობაზე შეთანხმება, რომლითაც მხარეები კისრულობენ ვალდებულებას არ მიმართონ არბიტრაჟსა თუ სასამართლოს მედიაციის გამოყენებამდე, ასევე არ შეიძლება განხილულ იქნეს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვად, რამეთუ კანონი ითვალისწინებს გამონაკლისს აღნიშნული წესიდან და ამავე დროს მედიაციის შესახებ დათქმის იურიდიულ ძალმოსილებას მხარეთა ნების ავტონომიით დადგენილი სახელშეკრულებო ბოჭვა განაპირობებს. ამას გარდა, არბიტრაჟისგან განსხვავებით მედიაციაში გადაწყვეტილება არ მიიღება მესამე პირის მიერ, პროცესი სრულად ეფუძნება ნებაყოფლობითი შეთანხმების, მხარეთა ავტონომიურობისა და მათ შორის ნებისმიერ ეტაპზე მედიაციის შეწყვეტის მხარისეულ შეუზღუდავ უფლებამოსილებას. ამდენად, თუ არბიტრაჟის შემთხვევაში გამართლებული იყო საკანონმდებლო ცვლილება, მედიაციის შემთხვევაში შეუძლებელია შეიზღუდოს მხარის ინტერესები და სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება, მედიაციის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე მხარის მიერ მოლაპარაკების დასრულების - მედიაციის შეწყვეტის შესაძლებლობიდან გამომდინარე.

მედიაციის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი, მნიშვნელოვანი მიზანია სასამართლოების განტვირთვა. ამიტომ მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ დღეს დანერგილი სასამართლო მედიაციის მოდელი რამდენად შეასრულებს ამ მიზანს. ამ კუთხით საინტერესოა გაანალიზდეს სასამარ-

<sup>14</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2004 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/186.

თლოს მიერ დავის მედიაციისათვის გადაცემის პროცედურა. სასამართლომ წარმოებაში უნდა მიიღოს დავა, თუმცა წარმოებაში მიღებისათვის მხარეებმა უნდა შეადგინონ სარჩელი, რომელმაც თავის მხრივ უნდა დააკმაყოფილოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რიგი დასაშვებობის პირობები. სასამართლომ უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები, მიიღოს განჩინება დავის მედიაციისათვის გადაცემის შესახებ, ხოლო სამედიაციო პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ მოახდინოს მორიგების დამტკიცება ან, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საქმის წარმოების განახლება მხარის მოთხოვნით. ჩნდება კითხვა, რამდენად შეუძლია მხოლოდ საქმის მოსმენის სტადიისაგან გათავისუფლებას განტვირთოს სასამართლოები? ამდენად, სასამართლოს განტვირთვის მიზნებისათვის იკვეთება კერძო და საერთო მედიაციის ერთგვარი უპირატესობა, რადგან მოდავე მხარეებს ამგვარი ფორმალობის დაცვა არ ევალდებათ და შეუძლიათ პირდაპირ მიმართონ მედიატორ ნოტარიუსს ან კერძო მედიაციას - მედიატორს მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან. სწორედ აღნიშნული მიზნით, მედიაციის 2019 წლის ნორმატიული რეფორმით განმტკიცდა კერძო მედიაციის ფართო საკანონმდებლო გარანტიები, მათ შორის სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფისა და აღსრულების შესაძლებლობის საკანონმდებლო რეგლამენტაციით. ამასთან, სავალდებულო სასამართლო მედიაციის ფართო გამოყენება წინაპირობაა მედიაციის მიმართ ცნობიერების ამაღლებისა, რაც განაპირობებს კერძო მედიაციის გაძლიერებას სახელმწიფოში. სავალდებულო მედიაციით სახელმწიფო აღწევს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას საიმისოდ, რომ მედიაციის უპირატესობებში გაცნობიერებულმა მხარეებმა/მხარეთა იურისტ ნარმომადგენლებმა თავად განახორციელონ კერძო მედიაციის ინიცირება დავის წარმოშობის ეტაპზე სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე.

მედიაციის ერთ-ერთი უპირატესობა პროცესის ხარჯთეფექტიანობაა. ის უზრუნველყოფს დროისა და რესურსების დაზოგვას. სსსკ-ს 38-ე და 39-ე მუხლებით განისაზღვრა, რომ სახელმწიფო ბაჟი გადახდით უნდა იქნას „ა3“) კოდექსის 187<sup>3</sup> მუხლიდან გამომდინარე სარჩელებზე – დავის საგნის ღირებულების 1%-ს, მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა. ხოლო იმ შემთხვევაში თუ სასამართლო მედიაციის პროცესში დავა მხარეთა შეთანხმებით არ დასრულდა, საქმის წარმოების განახლებისას მოსარჩელე ვალდებულია დამატებით წარადგინოს დავის საგნის ღირებულების 2%-ის, მაგრამ არანაკლებ 50 ლარის, გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი; გარდა ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფო ბაჟის გადახდას ექვემდებარება „ა6“) სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებაზე – 50 ლარის ოდენობით და „ა7“) სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ განცხადებაზე – 150 ლარის ოდენობით; აქ დღის წესრიგში დგება შემდეგი საკითხი: თუ მხარე თავიდანვე იხდის სასამართლო ბაჟს სასარჩელო წარმოებისთვის განსაზღვრული ოდენობით, ეს ხომ არ იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ მოსარჩელე წინასწარ აფიქსირებს, რომ არ არის თანახმა მისი დავა განხილულ იქნას მედიაციით და სურს, რომ მისი დავა განიხილოს სასამართლომ? მხარეთა რესურსების დაზოგვის პრობლემატური კითხვების განსახილველად მნიშვნელოვანია კრიტიკული ანალიზი. მცირეფასიანი დავების ეკონომიკურ ანალიზს თუ მოვახდენთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ისეთ დავებში, სადაც მოსარჩელე იხდის მხოლოდ 100 ლარს და „უფასოდ“ იღებს სააღსრულებო ფურცელს, მედიაციით დავის დამთავრებისას მას უწევს 250 ლარის გადახდა, რაც პირდაპირ ზრდის სამართალწარმოების ხარჯებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სასამართლო მორიგების შედეგებთან მიმართებით მედიაციით, როგორც სასამართლოს სერვისით, სარგებლობა მხარისთვის მეტ ფინანსურ ტვირთთან არის დაკავშირებული. სწორედ ამ მიზეზით აიხსნება არსებული ქართული სასამართლო პრაქტიკა 2012 წლიდან დღემდე, როდესაც სასამართლო სამედიაციო მორიგებას ამტკიცებს როგორც სასამართლო მორიგების აქტს და სრულად ბრუნდება მხარეთათვის გადახდილი ბაჟი. მნიშვნელოვანია, რომ არსებული პრაქტიკა საკანონმდებლო ცვლილებებით გამყარდეს და არსებით განხილვამდე მიღწეული სასამართლო მორიგების დამტკიცების დროს ბაჟის დაბრუნების წესი გავრცელდეს სამედიაციო მორი-

გების დამტკიცების შემთხვევაზეც. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მედიაციის სერვისით სარგებლობისთვის მხარეს ხშირ შემთხვევაში მაინც სჭირდება ადვოკატის დახმარებით სარჩელის შედგენა, ბაჟის გადახდა, ასევე სასამართლო მაინც ეცნობა საქმეს, განიხილავს მისი დასაშვებობის წინაპირობებს და მხოლოდ ამ სტადიის გავლის შემდეგ ახდენს საქმის მედიატორისათვის გადაცემას, სასამართლო მედიაციის პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის თანახმად, თუ მხარეს/მხარეებს სარჩელსა და შესაგებელში მითითებული აქვთ მედიაციის მექანიზმის გამოყენების თანხმობა, საქმე მედიაციას გადაეცემა მოსამზადებელ სხდომამდეც.

მედიაციის წარმოების ენასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს „სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 27 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/366 გადაწყვეტილების მე-5 მუხლის მე-10 პუნქტის დათქმა, რომლის თანახმად, მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ კონსულტანტი მედიაციის საკითხებში განსაზღვრავს მედიაციის წარმართვის ენას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დამატებით უზრუნველყოფს მედიაციის პროცესში თარჯიმნის ან/და ექსპეტრის ჩართვის ორგანიზაციულ მხარეს. სამედიაციო მორიგების მიღწევის შემთხვევაში მორიგების ტექსტი უნდა შედგეს ქართულ ენაზე. აქ იკვეთება, რომ სასამართლო მედიაციის წარმოება დასაშვებია არასახელმწიფო ენაზეც, თუმცა მორიგების ტექსტი დგება არა სახელმწიფო, რომელშიც აფხაზურიც მოიაზრება, არამედ მხოლოდ ქართულ ენაზე. ამ დათქმასთან დაკავშირებით ჩნდება ლეგიტიმური კითხვა მის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, რადგან კონსტიტუცია ცალსახად განსაზღვრავს მართლმსაჯულების სახელმწიფო ენაზე წარმოებას. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრების მართებულობას, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მედიაცია არ წარმოადგენს პირდაპირი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს, ვინაიდან მედიაციის პროცესის შედეგი არ უკავშირდება მაინც და მაინც „სამართლიან“ (just settlement) შეთანხმების მიღწევას, არამედ შეთანხმების მიღწევა არის პროცესის შედეგი (just about settlement), შესაბამისად, მხარეებს უნდა ესმოდეთ, რომ ამ მექანიზმის გამოყენებით მათ აბსოლუტური სამართლიანობა არ უნდა ეძიონ, არამედ არსებული კონფლიქტის მათი და მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინებით დასრულება უნდა მოახერხონ.<sup>15</sup> ამ შემთხვევაში მედიაცია ვერ იქნება მართლმსაჯულების განხორციელების ალტერნატიული ფორმა, არამედ დავის გადაჭრის ადეკვატური ფორმა.<sup>16</sup>

„სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში შუამავლობის გარკვეულ ასპექტებზე“ ევროპარლამენტისა და საბჭოს N2008/52/EC დირექტივაში აღნიშნულია, რომ თავად მხარეები განსაზღვრვენ მედიაციის პროცესის ხანგრძლივობას, თუმცა იქვე ნათქვამია, რომ აუცილებელია ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობამ დაანესოს ერთგვარი ზღვარი მედიაციის პროცესის ხანგრძლივობისა. დირექტივის მითითება გონივრული და მნიშვნელოვანია პროცესის ორგანიზების მიზნით, რადგან ვადების განუსაზღვრელობამ შესაძლოა პროცესის გაჭიანურება გამოიწვიოს. სასამართლო მედიაციისათვის დადგენილია ვადა, რომელიც შეადგენს 45 დღეს, მაგრამ არანაკლებ 2 შეხვედრისა. აღნიშნული ვადა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს იმავე ვადით. მედიაცია ვერ გახდება მართლმსაჯულების გაჭიანურების საფუძველი, რადგან ნებისმიერ დროს ერთ-ერთ მხარეს მეორე მხარისა და მედიატორის თანხმობის მიუხედავად შეუძლიათ შეწყვიტოს პროცესი. პირველ ორ სესიაზე სავალდებულო გამოცხადება კი ემსახურება მედიაციის არსობრივ-პროცესუალური უპირატესობების გაცნობის შემდეგ მედიაციის პროცესის თაობაზე ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობას. აღნიშნული გამყარებულია მედიაციის შესახებ კანონისა და მედიატორთა ეთიკის კოდექსის არაერთი ნორმა-დებულებით.

<sup>15</sup> *ყანდაშვილი ი.*, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები მედიაციის მაგალითზე საქართველოში, თბ., 2018, 65, <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Kandashvili%20Irakli.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Kandashvili%20Irakli.pdf)> [29.05.2023].

<sup>16</sup> *Silvestri E.*, Too much of a Good Thing: Alternative Dispute Resolution in Italy, 2017, 79, <[https://www.academia.edu/36857715/Too\\_much\\_of\\_a\\_good\\_thing\\_Alternative\\_Dispute\\_Resolution\\_in\\_Italy](https://www.academia.edu/36857715/Too_much_of_a_good_thing_Alternative_Dispute_Resolution_in_Italy)> [29.05.2023].

ყურადსაღებია სასამართლოს კონტროლის მექანიზმი სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე. სსსკ-ს კარი მეშვიდე თავი XLIV<sup>13</sup> ითვალისწინებს სასამართლოს მონაწილეობას სამედიაციო მორიგების აღსრულებაში. სასამართლოს ჩართულობისა და რესურსის ხარჯვის კუთხით საინტერესოა სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვა. სასამართლო უარს იტყვის სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე, თუ სამედიაციო მორიგების შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან თუ, სამედიაციო მორიგების შინაარსიდან გამომდინარე, მისი აღსრულება შეუძლებელია. შესაბამისად, სასამართლო შედის საქმის განხილვაში და ამონიშნავს მის კანონთან შესაბამისობას. სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით. ასეთ შემთხვევაში დღის წესრიგში დგება კიდევ ერთი საკითხი, მაშინ როდესაც არსებობს მხარეთა მორიგების შესახებ სამედიაციო აქტი, მაგრამ მისი კანონსაწინააღმდეგობის ან/და აღუსრულებლობის გამო სასამართლო უარს ამბობს მის აღსრულებაზე, მხარეებს აქვთ თუ არა უფლება სასამართლოს მიმართონ საქმის განმეორებით განხილვის მოთხოვნით. მით უმეტეს, რომ 272-ე მუხლის დ<sup>1)</sup> პუნქტი ითვალისწინებს საქმის წარმოების შეწყვეტას თუ შედგენილ იქნა სამედიაციო მორიგება; სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ სასამართლო იღებს კიდევ ერთ სასამართლო დადგენილებას. გადაწყვეტილება მიიღება განჩინების ფორმით. მხარეს აღნიშნულ განჩინებასთან ერთად გადაეცემა სააღსრულებო ფურცელი. სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება. მნიშვნელოვანია, რომ მხარეს სამედიაციო მორიგების აღსრულებლობის შემდეგ ჰქონდეს სასამართლოში იმავე საქმეზე დავის უფლება ან სამედიაციო მორიგების ლეგიტიმურობის კონტროლი განახორციელოს სასამართლომ დავაზე საქმის წარმოების შეწყვეტის ეტაპამდე. სწორედ ამ საჭიროების გათვალისწინებით მედიაციის რეფორმის ჯგუფის მიერ დაწყებულია კანონის ცვლილებებზე მუშაობა, რომლის კონცეპტუალური მიზანიც სასამართლო და სამედიაციო მორიგების შედეგების გათანაბრებაა. კერძოდ, დაგეგმილი რეფორმის მიზანია საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლად აღიაროს სასამართლოს განჩინებით დამტკიცებული როგორც სასამართლო, ისე სამედიაციო მორიგება. ასეთ შემთხვევაში განჩინება აღსრულდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების წესის მიხედვით და აღარ იარსებებს საფრთხე საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ სამედიაციო მორიგების აღსრულებლობისა და სასამართლოსათვის მიმართვის უფლების დაკარგვისა.

კერძო და საანოტარო მედიაცია განსაკუთრებით მოქნილ მექანიზმად იკვეთება დროის, ფინანსური რესურსისა და აღსრულების კუთხით. აღსანიშნავია, რომ მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტის ფარგლებში განხორციელებული მედიაციის სტატისტიკა შემდეგნაირია: 2016 წლის პირველი აგვისტოდან საანოტარო ბიუროებში ჩანიშნულ იქნა 43395 მედიაციის პროცესი. წარმატებით დასრულდა 1978 მედიაცია.<sup>17</sup> ეს მონაცემი მეტყველებს თუ რამდენი საქმით განივირთა სასამართლო, ხოლო ამ რაოდენობის საქმეთა მინიმუმ ორმა მხარემ დაზოგა ადვოკატისა და სასამართლოს ხარჯები, ასევე დრო და ადამიანური რესურსი. თუმცა მორიგების აქტის გარეშე დასრულებული მედიაციების რაოდენობა მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არის მოსახლეობის ფსიქოლოგია და სამართლებრივი ცნობიერება მისული იქამდე, რომ ნებაყოფლობით გადაწყვიტონ დავა საანოტარო მედიაციის საშუალებით. რაც შეეხება კერძო მედიაციის პრაქტიკას, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ნორმატიული რეფორმის შემდგომ კერძო მედიაციის პრაქტიკის შესახებ არ არსებობს. საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ განახორციელა არაერთი კერძო მედიაციის პრო ბონო პროექტი, მათ შორის საოჯახო მედიაციის დავებზე. 2023 წელს ასევე ხორციელდება კერძო მედიაციის პროექტი მერიის იურიდიული დახმარების კლინიკასთან და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კერძო მედიაციის ნებაყოფლობით ინიცირებისას, მხარეებს უმრავლეს შემთხვევაში გაცნობიერებული აქვთ მედიაციის სიკეთეები, კონფიდენციალობისა და თუ

<sup>17</sup> ხარიტონაშვილი ნ., საანოტარო სამართალი, ბონა კაუზას გამომცემლობა, თბ., 2021, 274.

სხვა რიგი უპირატესობები. ამდენად მხარეებს არ სურთ აღსრულების მექანიზმის გამოყენება, რადგან ხშირად სამედიაციო მორიგება მედიაციის პროცესშივე მისი ნებაყოფლობითი შესრულებით მთავრდება. სწორედ ამიტომ არ არსებობს კერძო სამედიაციო მორიგების სასამართლოს მიერ დამტკიცების ვრცელი სტატისტიკა, რაც კერძო მედიაციის პრევენტიულ როლზე და სამედიაციო მორიგების ნებაყოფლობით შესრულებადობის უპირატესობებზე მეტყველებს.

სამოქალაქო დავების გადაჭრის მექანიზმების განხილვისას მნიშვნელოვანია არბიტრაჟის როლის განხილვაც, რომელსაც მხოლოდ ქონებრივი დავების განხილვის უფლებამოსილება აქვს და რომელიც დელოკალიზაციის თეორიიდან გამომდინარე განიხილება, როგორც ზენაციონალური სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც განკერძოებულია იმ სახელმწიფოს სამართლებრივი სივრცისაგან, რომელშიც მას აქვს მუდმივი და ძირითადი ადგილსამყოფელი.<sup>18</sup> საინტერესოა არბიტრაჟის კავშირი მართლმსაჯულებასთან. ევროპაში, განსაკუთრებით კი გერმანული სამართლის ქვეყნებში, არბიტრაჟის კავშირს მართლმსაჯულებასთან განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. ამის საპირისპიროდ აშშ-ში მიაჩნიათ, რომ არბიტრაჟი არის არა მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანო, არამედ თავისებური მომსახურება ბიზნესისათვის რომელიც თავის „კლიენტებს“ სთავაზობს დავის მოკლედ, იაფად და კვალიფიციურად გადაწყვეტას.<sup>19</sup> არის მოსაზრება, რომ როდესაც მხარეები თავიანთი დავის გადასაწყვეტად ირჩევენ არბიტრაჟს, ამით ისინი გამოხატავენ ნებას, უარი თქვან სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ სასამართლო ხელისუფლებაზე და მის ნაცვლად მიმართონ დავის გადაწყვეტის კერძო საშუალებას. შესაბამისად, მხარეთა ლეგიტიმური მოლოდინია, რომ მათ დაეას განიხილავს მხარეთა მიერ არჩეული არბიტრ(ებ)ი, რომლის გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და არ დაექვემდებარება სასამართლოს მიერ გადასინჯვას.<sup>20</sup> თუმცა წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე არბიტრაჟზე დღეისათვის დაწესებულია სასამართლო კონტროლი, რაც გამოიხატება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების სისტემაში და რაც აუცილებელია სახელმწიფოს ზედამხედველობის ფუნქციისათვის. გადაწყვეტილებას ენიჭება *res iudicata* ეფექტი - მხარეებს ეზღუდებათ იმავე საგანზე იმავე საფუძვლით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. საქართველოში წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე არბიტრაჟი ნაკლებად პოპულარულია და ძირითადად მცირე საკრედიტო დავებში გამოიყენება, ხოლო საარბიტრაჟო დათქმების ინიციატორები ძირითადად საფინანსო ორგანიზაციები არიან. თუმცა მსოფლიო მასშტაბით ბევრი ტრანსნაციონალური ბიზნეს და კომერციული დავა დღეისათვის წყდება არბიტრების და არა მოსამართლეების მიერ. როგორც ჩანს, უფრო მეტი საერთო და სამოქალაქო სამართლის პრაქტიკის ჰარმონიზაცია მოხდა საარბიტრაჟო წარმოებაში ვიდრე სასამართლოში.<sup>21</sup>

აღსანიშნავია რომ ბოლო პერიოდში ფეხს იკიდებს მედიაციისა და არბიტრაჟის კომბინაცია ე.წ. MAD-ARB, შეუთანხმებლობით დასრულებული მედიაციის პროცესის არბიტრაჟში გადაზრდას გულისხმობს. ის არის კონფლიქტის მოგვარების ორი კარგად დამკვიდრებული პროცესის ერთ ჰიბრიდულ პროცესში შერწყმა. მედ-არბის განვითარება ასახავს მზარდ საზოგადოებრივ ტენდენციას, რომელიც სულ უფრო მეტად უკავშირდება კონფლიქტის ნაკლებად ფორმალური, უფრო მიზანშეწონილი პროცესების სხვადასხვა ფორმებით მოგვარებას.<sup>22</sup>

<sup>18</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები, თბ., 2008, 23, <[http://press.tsu.ge/data/-image\\_db\\_innova/Disertaciebi/giorgi\\_cercaze.pdf](http://press.tsu.ge/data/-image_db_innova/Disertaciebi/giorgi_cercaze.pdf)>, [29.05.2023].

<sup>19</sup> იქვე, 23.

<sup>20</sup> *Abedian H.*, *Judicial Review of Arbitral Awards in International Arbitration – A Case for an Efficient System of Judicial Review*, Vol. 28, Issue #6, 2011, 553, <<https://kluwerlawonline.com/journalarticle/Journal+of+International+Arbitration/-28.6/JOIA2011044>> [29.05.2023].

<sup>21</sup> *Dodson S., Klebba J.M.*, *Global Civil Procedure Trends in the Twenty-First Century*, Rev. 1, 2011, 18.

<sup>22</sup> *Baril M.B., Dickey, D.*, *MED-ARB: The Best of Both Worlds or Just A Limited ADR Option?*, 2014, 1.

#### 4. კონსილიაცია და მისი დანერგვის პერსპექტივა

სამოქალაქო დავის მოგვარების განსაკუთრებით საინტერესო ინსტიტუტად გვევლინება კონსილიაცია, იგივე შერიგება. ის გულისხმობს დავის განხილვას კონსილიატორის მიერ, რომელიც დავის შინაარსში ინტერვენციის უფრო ფართო უფლებამოსილებითაა აღჭურვილი, ვიდრე მედიატორი. კონსილიაცია არსებობს როგორც კონტინენტურ ასევე, საერთო სამართლის ქვეყნებში. კონსილიაცია გათვალისწინებულია ასოცირების ხელშეკრულებაში ენერგეტიკის სფეროში საგანგებო დავების დროს.<sup>23</sup> კონტინენტური სამართლის ქვეყნის სამაგალითოდ საინტერესოა ბელგიურ კანონმდებლობაში არსებული ე.წ. წინასწარი კონსილიაციის ინსტიტუტი, რაც გულისხმობს დავის განხილვას მოსამართლის მიერ, თუმცა აღნიშნული პროცედურა განსხვავდება როგორც სასარჩელო წარმოებისაგან, ასევე მედიაციისაგან.<sup>24</sup> ბელგიის სამოსამართლო კოდექსის შესაბამისად, სარჩელის აღძვრამდე მხარეებს შესაძლებლობა აქვთ დავა წარუდგინონ მოსამართლეს მხოლოდ შეთანხმების მიღწევის მიზნით.<sup>25</sup> ამას ეწოდება წინასწარი კონსილიაციის პროცედურა, რომლის დროსაც სასამართლო მხარეების შეთანხმებაზე დაყოლიებას ცდილობს. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, განმხილველ მოსამართლეს არ აქვს ამ საქმის შემდგომ განხილვის უფლება. კონსილიაციას არაფორმალური ხასიათი აქვს. მხარეები წერილობით მიმართავენ სასამართლოს მოხელეს, რომ შეატყობინონ მოწინააღმდეგე მხარეს. მოსამართლე ჩაატარებს ზეპირ სხდომას. თუ შეთანხმება შედგება, მას აღსრულებადი ძალა აქვს და არ გასაჩივრდება. კონსილიაციას მედიაციისაგან განასხვავებს ის, რომ კონსილიატორი, არაპირდაპირ ახდენს საქმის გადაწყვეტას, ხოლო მედიატორი არ იძლევა რჩევას დავის გადაწყვეტისათვის, რაც ასევე მხარეთა ფართო ავტონომიის აუცილებლობითა და ნებაყოფლობითობის პრინციპის უზენაესობით აიხსნება. ცალკეულ შემთხვევაში, მაგალითად, შრომით დავებში კონსილიაციის პროცედურა სავალდებულოა.<sup>26</sup> მეცნიერთა შეფასებით სავალდებულო კონსილიაცია კარგად არ მუშაობს და მიიჩნევა უფრო ძვირადღირებულ და არაპროდუქტიულ ინსტრუმენტად, ვიდრე სასარგებლოდ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სავალდებულობა ფაქტობრივად აზრს უკარგავს ნებისმიერი შემათანხმებელი პროცედურის არსს, ვინაიდან ნებაყოფლობითობა, მხარეთა შეთანხმებისაკენ სწრაფვა წარმოადგენს მხარეთა მოლაპარაკების ძირითად მოტივატორს. თუმცა თუ სავალდებულო სასამართლო მედიაციას განვიხილავთ მედიაციის მიმართ სახელმწიფოში ცნობიერების ამაღლების პოლიტიკურ მექანიზმად, ამასთან ვალიარებთ რომ სავალდებულო მედიაციის არსებობას ამართლებს მედიატორის ნაკლებინტერვენციური როლი დავის სამართლებრივ შინაარსში, მაშინ სავალდებულო მედიაციის არსებობა, შეთანხმების ნებაყოფლობითობის სრული აღიარებით, ნამდვილად შეიძლება იქნეს განხილული სახელმწიფოში მედიაციის მიმართ ცნობიერების ამაღლების და კერძო მედიაციის მხარი ინსტიტუციონალიზაციის საშუალებად.

#### 5. დავის ფორმალური მართლმსაჯულებით მოგვარების პრობლემატიკა

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პოპულარიზაციისა და განვითარების მცდელობის მიუხედავად დღეისათვის სასამართლო კვლავაც არის სამოქალაქო დავის გადაწყვეტის ყველაზე აქტიუალური ფორმა, რადგან მისი იძულებითი მექანიზმები კვლავ უზრუნველყოფს მხარეთა ჩართულობას. მეცნიერები უფრო და უფრო აქტიუალურად ახდენენ სასამართლო სექტორის პოლიტიკური გავლენის შეფასებას. არის მოსაზრება, რომ სასამართლო გადაწყვეტი-

<sup>23</sup> Association Agreement Between the European Union and the European Atomic Energy Community and Their Member States, of the One Part, and Georgia, of the Other Part, <[https://eur-lex.europa.eu/eli/agree\\_internation/2014/494/2021-06-17](https://eur-lex.europa.eu/eli/agree_internation/2014/494/2021-06-17)> [29.05.2023].

<sup>24</sup> Taelman P., Stefaan V., Belgian Mediation Report, 2013, 1, <[https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2355902](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2355902)> [29.05.2023].

<sup>25</sup> იქვე, 2.

<sup>26</sup> იქვე, 1.

ლებების პოლიტიკურ მნიშვნელობაზე სამი ელემენტი ახდენს გავლენას. უპირველეს ყოვლისა ეს არის მოსამართლეთა სტატუსი (როგორ ხდება მათი დაკომპლექტება და გარანტიები, რომელითაც ისინი სარგებლობენ) და როგორ განსაზღვრავენ მოსამართლეები თავიანთ როლს სასამართლო და პოლიტიკურ პროცესში. მეორე არის სასამართლო სისტემის ორგანიზება, მათ შორის კანონმდებლობის სასამართლოს მიერ გადახედვის შესაძლებლობა, სასამართლო პროცესების სტრუქტურა და პროკურატურის მოწყობა. მესამე ფაქტორად, რომელიც, სასამართლო ძალაუფლებაზე გავლენას ახდენს არის პოლიტიკური სისტემა: პოლიტიკა, რომელშიც ძალაუფლების დაყოფა და ფრაგმენტირებულობა სასამართლო ხელისუფლების პოლიტიკურ პროცესში ჩარევის უფრო ფართო ჩარევის შესაძლებლობას იძლევა.<sup>27</sup>

საქართველოში სასამართლოში დავის გადაწყვეტის ძირითადი გაცხადებულ პრობლემად მისი გადატვირთულობა სახელდება, რაც თავის მხრივ იწვევს დავის გაჭიანურებას, რაც ეფექტიანი მართლმსაჯულების პრინციპს ეწინააღმდეგება. გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი საშუალება სასამართლო სექტორის გაზრდაა. გარდა ამისა მოქალაქეებისათვის ხშირად პრობლემურია სასამართლოს ხელმისაწვდომობა. იურისპრუდენცია სამართლებრივი ტერმინებით და პროცედურებით დაიტვირთა, ამიტომ იურიდიული განათლების არმქონე ადამიანთათვის უფლებების დაცვა და სამართლებრივ მექანიზმებთან წვდომა უფრო და უფრო რთული ხდება. ხშირად, სამართლის ენა იმ ადამიანებისათვის, ვინც სამართლის საბოლოო მომხმარებელია, გაუგებარია. საქართველოს სასამართლოში მიმართვისათვის მოსარჩელეს უწევს სტრასბურგის სასამართლოში მიმართვისთვის საჭირო ფორმაზე ბევრად რთული სარჩელის ფორმის შევსება და პრაქტიკაში მიღებული წესით დასაბუთება. აღნიშნული, ერთი მხრივ, იურიდიული პროფესიის მნიშვნელობას უფრო ზრდის, თუმცა მეორე მხრივ იწვევს სამართლებრივ მექანიზმებთან წარმომადგენლების მეშვეობით ურთიერთობას, რაც არ შეესაბამება სამართლის ზოგად სოციალურ მნიშვნელობას - სამართალი ადამიანებისთვის არსებობს და არა როგორც ამას ევროპულად „დოქტრინას“, ხოლო საერთო სამართალში „სამართლის გრამატიკას“ უწოდებენ.

მართლმსაჯულების განხორციელების დაბრკოლებად შესაძლებელია ასევე განვიხილოთ პროცესის ზედმეტად ფორმალურობა<sup>28</sup>, რაზეც არაერთხელ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ. ბოლო პერიოდში გამოიკვეთა სარჩელის წარმოებაში მიუღებლობის ტენდენცია სასამართლოების მხრიდან, რასაც მოჰყვა საკონსტიტუციო სარჩელი<sup>29</sup> რომლითაც მოსარჩელე მხარე სსკ-ს 186 მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლთან მიმართებით. მოსარჩელის მოსაზრებით სადავო ნორმა ანიჭებს საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეს დისკრეციულ უფლებას, საკუთარი ცალმხრივი შეხედულებისამებრ უარი თქვას სარჩელის განსახილველად მიღებაზე და სარჩელი თანდარულ მასალებთან ერთად დაუბრუნოს მოსარჩელეს. სარჩელის წარმოებაში მიუღებლობის განჩინება კოდექსის პირვანდელი ვერსიით არ იყო გათვალისწინებული და სასამართლოების განტვირთვის მიზნით იქნა შემოღებული, თუმცა მისი ჭარბად გამოყენება შესაძლებელია მართლმსაჯულების განხორციელების დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს. ეს ყველაფერი აზრს უკარგავს საქმის მომზადების სტადიას, რადგან რიგ განჩინებებში სასამართლო ღრმად შედის საქმის მასალების განხილვაში, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო პროცესი საჯარო სამართალია, და მასში თავისუფალი დისკრეცია არ არის დაშვებული [მხოლოდ კანონით გათვალისწინებული]. გამომდინარე აღნიშნულიდან მიზანშეწონილია რომ შესუსტდეს პროცესის ფორმალიზების ტენდენცია და საპროცესო წესების გამარტივებით სამართალი უფრო ახლოს მივიდეს მათთან, ვის-

<sup>27</sup> Guarnieri C., Pederzoli P., *The Power of Judges: a Comparative Study of Courts and Democracy*, Oxford University Press, New York, 2002, 3, <<http://link.library.eui.eu/portal/The-power-of-judges--a-comparative-study-of/7sQRr3Lt8cs/>> [29.05.2023].

<sup>28</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე № 30459/13, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kobeliani-saqartvelos-winaagmdeg.pdf>> [15.06.2023].

<sup>29</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №1481, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9023>> [30.05.2023].



თვისაც ის არსებობს. იმისათვის რომ მართლმსაჯულება არ დარჩეს მართლმსაჯულებისათვის სა-სამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ ადამიანებზე ორიენტირებული ცოცხალი სამართლით.

## 6. დასკვნა

კვლევაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სამოქალაქო დავების გადაწყვეტის სხვადასხვა გზის ძიება მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებისთვის. სასამართლოთა გადატვირთულობა, ერთი მხრივ, ტრადიციული სასამართლოების კრიზისზე მიუთითებს და, მეორე მხრივ, საზოგადოების მხრიდან მართლმსაჯულების მზარდ მოთხოვნაზე. მედიაციის საკანონმდებლო რეგულირების ანალიზით ასევე იკვეთება ისეთი საკითხების რეგულირების აუცილებლობა, როგორცაა პროცესის წარმართვის ენა, დასაშვებობის პირობების შემოწმებისა და სასარჩელო განცხადების ფორმის შევსების არასავალდებულობა, სახელმწიფო ბაჟი, შესაბამისად, მიზანშეწონილია განხორციელდეს პროცესის დეფორმალიზაცია. საქართველოში კრეატიული მართლმსაჯულების დაბალი ცნობადობაა, მისი პოპულარიზაციისათვის სწორი და მოსახლეობაზე გათვლილი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. შესაბამისად, სანყის ეტაპზე, სანამ ერის ცნობიერება დავის ნებაყოფლობით, საკუთარი პასუხისმგებლობით გადაწყვეტას გაითავისებს, შეიძლება უფრო ძლიერი უფლებამოსილების მქონე კონსილიატორის დახმარებით დავის გადაჭრამ მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი სასამართლოების განტვირთვის. წინასწარი კონსილიაციის პროცედურა მხარეებს შესაძლებლობას მისცემს სასარჩელო განცხადების ფორმის შევსებისა და დასაშვებობის სტადიის გავლის გარეშე, მარტივი განცხადების საფუძველზე განიხილონ დავის შესაძლო პერსპექტივები. მედიატორზე მეტი უფლებამოსილებით აღჭურვილი კონსილიატორი მხარეებს მისცემს სამართლებრივ რჩევას დავის სავარაუდო გადაწყვეტის შესახებ. აღნიშნული მნიშვნელოვნად გაამრაველფეროვნებს სამოქალაქო დავების გადაწყვეტის ფორმებს, ასევე მისი ნებაყოფლობითი ხასიათი წახალისებს მხარეებს და უფრო ხელმისაწვდომს გახდის მართლმსაჯულებას.

გარდა ამისა, მედიაციის მიმართ ცნობიერების ამაღლების მიზნით არსებითია სასამართლო სავალდებულო მედიაციის ფართო გამოყენება, მედიაციას გადაცემული საქმეთა რაოდენობის ზრდა მედიატორთა რიცხოვნობის თანაზომიერი ზრდის კვალდაკვალ. მედიაციის პროცესში მხარეთა ინფორმირებული მონაწილეობით ხელი შეეწყობა ცნობიერების ამაღლებას. ასევე იურიდიული საზოგადოების წარმომადგენლები სავალდებულო სასამართლო მედიაციის მასშტაბურობის პირობებში მეტად შეეცდებიან წახალისონ კერძო მედიაციის ინიცირება, რაც საბოლოოდ მოემსახურება დავის ადრეულ ეტაპზე პრევენციას და სოციალური მშვიდობის დამკვიდრებას.

### ბიბლიოგრაფია:

1. *ტყემალაძე ს.*, მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბ., 2016, 10, <[https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic\\_governance/mediation\\_in\\_georgia\\_2016.html](https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/mediation_in_georgia_2016.html)> [29.05.2023].
2. *ყანდაშვილი ი.*, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები მედიაციის მაგალითზე საქართველოში, თბ., 2018, 65, <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova-/Kandashvili%20Irakli.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova-/Kandashvili%20Irakli.pdf)> [29.05.2023].
3. *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები, თბ., 2008, 23, <[http://press.-tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/giorgi\\_cercaze.pdf](http://press.-tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/giorgi_cercaze.pdf)>, [29.05.2023].
4. *ხარიტონაშვილი ნ.*, სანოტარო სამართალი, „ბონა კაუზა“, თბ., 2021, 274.
5. *ხარიტონაშვილი ნ.*, შედარებითი სამოქალაქო პროცესი, „ბონა კაუზა“, თბ., 2022, 163.

6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე № 30459/13, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kobeliani-saqartvelos-winaagmdeg.pdf>> [29.05.2023].
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №1481, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9023>> [30.05.2023].
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2004 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/186.
9. *Abedian H.*, Judicial Review of Arbitral Awards in International Arbitration – A Case for an Efficient System of Judicial Review, Vol. 28, Issue #6, 2011, 553, <<https://kluwerlawonline.com/journalarticle/Journal+of+International+Arbitration/28.6/JOIA2011044>> [29.05.2023].
10. Association Agreement Between the European Union and the European Atomic Energy Community and Their Member States, of the One Part, and Georgia, of the Other Part, <<https://eur-lex.europa.eu/eli/agree-international/2014/494/2021-06-17>> [29.05.2023].
11. 2023 *Baril M.B., Dickey, D.*, MED-ARB: The Best of Both Worlds or Just A Limited ADR Option?, 2014, 1.
12. *Dodson S., Klebba J.M.*, *Global Civil Procedure Trends in the Twenty-First Century*, Rev. 1, 2011, 18.
13. *Eliantonio M., Backes Ch.W., Van Rhee C.H., Spronken T.N.B.M., Berlee A.*, Standing Up for Your Right(s) in Europe, 2012, 13, <[https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document.html?reference=IPOL-JURI\\_ET%-282012%29462478](https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document.html?reference=IPOL-JURI_ET%-282012%29462478)> [29.05.2023].
14. *Guarnieri C., Pederzoli P.*, *The power of judges: a Comparative Study of Courts and Democracy*, Oxford University Press, 2002, 3, <<http://link.library.eui.eu/portal/The-power-of-judges--a-comparative-study-of/7sQRr3Lt8cs/>> [29.05.2023].
